ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი



№ 3-4

1933 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. კარლ მარქსი—კ. მ. . . . . . . . . . . . . . 1
2. მარქსი და ბავშვები,—ვ. ლიბკნეხტი . . . . 3
3. ფრ. ენგელსის სიტყვა მარქსის საფლავზე . . . . 4
5. როგორ მუშაობდა მარქსი . . . . . . . . . . 5
6. საპირველმაისო პირველი ყიყინა,—ლექსი გ. ქუჩიშვილის . . . . . . . . . . . . . . . . 9
7. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ბავშვკორები ფ. მახარაძესთან—მ. თომაძის . . . . . . . . . 10
8. ზურა ატმის ქალაქში,—მარიჯანის . . . . . 12
9. წიგნი და გაზაფხული,—ლექსი გ. კაჭახიძის . . 14
10. ნარკვევები თაჯიკისტანის ექსპედიციიდან,—ლ. მარუაშვილის . . . . . . . . . . . . . . 14
11. სპარსეთის ბავშვები, თარგ. ნ. დაფნარელის . . 16
12. პატარა გმირის სისხლი,—ა. კაშმაძის . . . . . 18
13. პარიზი,—შ. თ—ლის . . . . . . . . . . . 18
14. ერთი დღე ებრაელ პიონერებთან, — დავთიანი . 21
15. ჩაის გმირი,—ცვარნამის . . . . . . . . . . 21
16. საბავშვო მწერლების საკითხები, — კ. მელაძის . 23
17. ლიდია გინსბურგ - „პინკერტონის აგენტურა,“— ყაზაიშვილი . . . . . . . . . . . . . . . 30
18. საორიენტირო პრაქტიკა,—ნ. ნ. . . . . . . . 31



სტამბა პოლიგრაფსკოლისა, ა. წერეთლის ქ. № 3—5.

შეკვეთის № 917 მთავლ. ა—916. ტირაჟი 3500

# კარლ მარქსი

1933 წლის 14 მარტს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც კაცობ-
რიობის უდიდესი გენიოსის კარლ
მარქსის თავმა შეწყვიტა აზროვნება.
1883 წლის 14 მარტს მან საუკუნოდ
მიიძინა მშვიდად თავის სავარძელში.
იგი თავის ცოლთან და ერთგულ მსა-
ხურთან, ელენე დემოტთან ერთად,
რომელიც თითქმის მათი ოჯახის წევ-
რი იყო, დასაფლავებულია ხაიგეტის
სასაფლაოზე ლონდონში.

„კარლ მარქსი"—ეს სახელი ცეცხ-
ლოვანი ასოებით სამარადისოდ არის
ჩაწერილი კაცობრიობის ისტორიაში.

მარქსის დროშით მუშათა კლა-
სი ირაზმება ძლევამოსილ ძალად,
იგი ერთი მეორეზე სცემს ლახვარს
კაპიტალისტურ წყობილებას,
რევოლუციურ ბრძოლაში აცა-
მტვერებს ბურჟუაზიულ სახელ-
მწიფოს, ამყარებს თავის რევო-
ლუციურ ძალა-უფლებას, პრო-
ლეტარიატის დიქტატურას და
ქმნის ახალ, უკლასო კომუნი-
სტურ საზოგადოებას, სადაც
არაა არც ექსპლოატაცია და
არც ჩაგვრა-დამონავება.

კარლ მარქსის სახელი, ისევე,
როგორც მისი უახლოესი მეგობ-
რისა და რევოლუციურ თანა-
მებრძოლის—ფრიდრიხ ენგელსის
სახელი, ისევე, როგორც მათ
საუკეთესო მოწაფეთა და მათი
საქმის გამგრძობ ლენინისა და
სტალინის სახელები, საყოველ-
თაოდ ცნობილია მთელ მსოფ-
ლიოში. ყველგან, თვითეულ ქვეყ-
ნის სულ მივარდნილ და მიყრუებულ
კუთხეებშიც კი, ყველგან, სადაც კი
ძგერს მუშისა და მშრომელის გული,
მარქსის სახელი არის სხივოსანი შუ-
ქურა, რომელიც ანათებს კომუნიზმის
გზას. ამავე დროს ეს სახელი, ენგელ-
სის, ლენინის და სტალინის სახელებ-
თან ერთად, ყველაზე მეტად ძულთ
კაპიტალისტებსა და მემამულეებს.
ეს სახელი შიშსა თესავს პარაზიტებსა
და მილიონთა შრომის ექსპლოატა-
ტორებს შორის, პროლეტართა,
გლეხთა და კოლონიალურ ხალხთა
მჩაგვრელებსა და დამმონავებლებს
შორის, შემთანხმებლებსა და სოცი-
ალ-ფაშისტებს შორის, რომელნიც
ბურჟუაზიის არამზადა ლაქიები და
მოსუფრალნი არიან.

რა არის ამის მიზეზი?

რატომ არის მარქსი ესოდენ საყვა-
რელი ერთთათვის და ესოდენ საძულ-
ველი მეორეთათვის? რატომ არის
ის ასეთი ძვირფასი და ახლობელი
მშრომელ ასეულ მილიონ ადამიან-
თათვის და რატომ ასე სძულთ იმათ,
რომელნიც ამ ასეულ მილიონთა



შრომით ცხოვრობენ? მიზეზი ისაა, რომ
პირველად მარქსმა შეიმუშავა პრო-
ლეტარიატის რევოლუციური მოძღვ-
რება. მეცნიერული კომუნიზმი —
ეს არის უძლიერესი იარაღი მუშათა
ხელში, რომელიც ამაღლებს მათ კლა-
სობრივ შეგნებას და რაზმავს მათ
რიგებს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის
ძველი წყობილების წინააღმდეგ.
მარქსი იყო პროლეტარიატის უდიდე-
სი მეცნიერი, რომელმაც დაამსხვრია
მუშათა შეგნების შემბორკველი ჯაჭ-
ვი. ამავე დროს მარქსმა მთელი
თავისი სიცოცხლე მიუძღვნა პრო-
ლეტარიატის რევოლუციურ ბრძო-
ლაში პრაქტიკულ მონაწილეობას,
ხელმძღვანელობდა ამ ბრძოლას, რო-
გორც მუშათა კლასის საუკეთესო
ბელადი. მარქსმა ამ ბრძოლის ინტე-
რესებს დაუმორჩილა მთლიანად თა-
ვისი მოძღვრება, რომელიც დამყა-
რებულია პროლეტარიატის კლასობ-
რივი ბრძოლის გამოცდილებაზე.

მარქსის, როგორც პროლეტარი-
ატის დიდი მოძღვრისა და ბელა-
დის, საუცხოო შეფასება მოგვცა
ენგელსმა 50 წლის წინათ.
1883 წ. 17 მარტს, მარქსის სა-
ფლავზე გამოსათხოვარ სიტყვა-
ში, ენგელსმა თქვა:

„იმის მსგავსად, რომ დარვინ-
მა აღმოაჩინა ორგანული სა-
მყაროს განვითარების კანონი,
მარქსმა აღმოაჩინა ადამიანის
ისტორიის კანონი: აქამდე იდე-
ოლოგიური ფენებით დაფარუ-
ლი უბრალო ფაქტი, რომ ადა-
მიანებს ჯერ არ უნდა ჰქონდეთ
საჭმელი, ბინა და ტანისამოსი,
რათა საშუალება ჰქონდეთ ხე-
ლი მოჰკიდონ პოლიტიკას, მე-
ცნიერებას, ხელოვნებას და სხვ.
რომ, მაშასადამე, უშუალო მა-
ტერიალურ საარსებო საშუა-
ლებათა წარმოება და ამით ხალ-
ხისა თუ ეპოქის ეკონომიუ-
რი განვითარების თითოეული
მოცემული საფეხური ქმნის სა-
ფუძველს, რომლიდანაც ვითარ-
დებიან ამა თუ იმ ადამიანთა სახელ-
მწიფო დაწესებულებანი, უფლებ-
რივი შეხედულებანი, ხელოვნება,
რელიგიური წარმოდგენანიც კი, და
რომლითაც ეს უკანასკნელი უნდა
აიხსნას, და არა პირიქით, როგორც
ეს დღევანდლამდე ხდებოდა.

მაგრამ ეს ცოტაა. მარქსმა აღმო-
აჩინა აგრეთვე წარმოების თანამედ-
როვე კაპიტალისტური წესისა და
მის მიერ წარმოშობილი ბურჟუაზი-
ული საზოგადოების სპეციალური

...ნით ამ სფეროში ერთბაშად იქმნა შეტანილი სიცხადე, მაშინ, რომლესაც როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტების, ისე სოციალისტური კრიტიკოსების ყველა წინანდელი გამოკვლევა წყვდიადში ხელის ფათური იყო“.

ასეთი იყო მარქსი, როგორც მეცნიერების ადამიანი. მაგრამ ეს როდი იყო მასში უმთავრესი... მარქსი, პირველ ყოვლისა, რევოლუციონერი იყო. ამა თუ იმ სახით მონაწილეობის მიღება კაპიტალისტური საზოგადოებისა და ამ უკანასკნელის მიერ შექმნილ სახელმწიფო დაწესებულებათა დანგრევაში, მონაწილეობა პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეში, პროლეტარიატის, რომელსაც პირველად მარქსმა მისცა მისი საკუთარი განთავისუფლების შეგნება,—აი რა იყო ნამდვილი მისი სასიცოცხლო მოწოდება. მისი სტიქია ბრძოლა იყო. და იგი იბრძოდა ისეთი ვნებით, ისეთი შეუპოვრობით, ისეთი წარმატებით, როგორც იბრძვიან იშვიათები... აი რატომ ძულდათ მარქსი, რატომ სწამებდენ მას ცილს ისე უხვად, როგორადაც არავის წინაამდეგ არ უწარმოებიათ ცილისწამება. მთავრობანი, როგორც თვითმპყრობელური, ისე რესპუბლიკანური, მას დევნიდენ, ასახლებდენ. ბურჟუები, როგორც კონსერვატორები, ისე უკიდურესი დემოკრატები, ზედიზედ ...

ცილისწამებასა და წყევლა-კრულვას მარქსი ყურადღებას არ აქცევდა, იგი ამას უკუისროდა, როგორც აბლაბუდას. და იგი მოკვდა პატივცემული, საყვარელი და დატირებული რევოლუციურ თანამებრძოლთა მილიონების მიერ მთელ ევროპასა და ამერიკაში, ციმბირის მაღაროებიდან, ვიდრე კალიფორნიამდე“.

მარქსმა მთელი თავისი სიცოცხლე სავსებით შესწირა პროლეტარიატს, მის რევოლუციურ ბრძოლას, მის კლასობრივ აღრზდას და დარაზმვას. მარქსი პროლეტარიატის პირველ რიგებში პირველი იყო, იგი იყო ფრიად გენიალური თეორეტიკოსი, ურყევი კომუნისტი, რომელიც სიძნელეების წინაშე არასოდეს უკან არ იხევდა, იგი იყო მუშათა კლასის რევოლუციურ არმიათა პირველი მეტად დახელოვნებული სარდალი.

მარქსის სახით კაცობრიობამ დაკარგა უდიდესი მოაზროვნე, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში მხოლოდ საუკუნოები ბადებს. მარქსის გარდაცვალების გამო ენგელსი მეორე დღეს თავის მეგობარ გ ო რ გ ე ს სწერდა:

„ყველა მოვლენას, და მათში უსაშინელესსაც კი, რომელიც ბუნების კანონით ხდება, თან ახლავს ნუგეშიც. ასეა ამ შემთხვევაშიც. სამკურნალო ხელოვნება, ალბათ, შესძლებდა (მხოლოდ ექიმობის სასახელოდ) თანდათანობით მომაკვდა სხეულის უძლუ...

... გძელობას; მაგრამ ასეთ ... ჩვენი მარქსი ვერ აიტანდა. ცოცხალი იყო, წინ გედოს ... უმთავრებელი სამუშაო ... ლოს მათი დათავება და ამის გამო განიცდიდე ტანტალის წამებას, —ეს მარქსისათვის ათასჯერ უმძიმესი იქნებოდა, ვიდრე წყნარი სიკვდილი. ,,სიკვდილი იმისთვის კი არ არის საშიში, ვინც კვდება, არამედ იმისათვის, ვინც ცოცხალი რჩება‘‘ — იცოდა ხოლმე მარქსმა ეპიკურის სიტყვების განმეორება, და ამ ძლიერ გენიალურ ადამიანს ხედავდე ცოცხალმკვდარს, დაუძლურებულს, რომელიც ფეთქავს მხოლოდ მედიცინის სასახელოდ და ფილისტერების დასაცინად, ფილისტერების, რომელსაც ის ახალგაზრდობის დროს ასე უმოწყალოდ ანადგურებდა! არა, ათასჯერ უკეთესია, რაც მოხდა! არა, ათასჯერ უკეთესი იქნება, როცა ჩვენ მას ზეგ დავკრძალავთ იმ სამარეში, საცა მისი მეუღლე განისვენებს.

„ჩემის აზრით, ყველა იმის შემდეგ, რაც თავს გადახდა, სხვა გამოსავალი არ იყო —ეს მე ყველა ექიმზე უკეთ ვიცი.

დაე, იყოს ასე! კაცობრიობა დაქვეითდა ერთი თავით, და ამავე დროს ყველაზე უფრო გენიალური თავით, რომელიც კი კაცობრიობას გააჩნდა ამ უკანასკნელ ხანებში.

აი რატომაა რომ, მარქსის სახელი ესოდენ ძვირფასია ჩვენი პროლეტარული დიქტატურის დიადი ქვეყნის თვითეული მუშისა და მშრომელისათვის. აი რატომაა, რომ მარქსის რევოლუციური მოღვაწეობას — მეცნიერულ კომუნიზმს—სწავლობს ჩვენი ქვეყნის თითოეული შეგნებული მუშა და მშრომელი, რომელიც ვითარდება კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე მარქსისა და ლენინის დროშის ქვეშ, ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბელადის—**ამხ. სტალინის** ნაცადი ხელმძღვანელობით.



# მარქსი და ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გენახათ მარქსი, გარშემორტყმული ბავშვებით, რომ მიგეღოთ სრული შთაბეჭდილება მეცნიერების ამ ბუმბერაზის სულიერი სიღრმისა და ბავშვური უბრალოების შესახებ. თავისუფალ წუთებში, გასეირნების დროს, მას თან მიჰყავდა ბავშვები და მონაწილეობას იღებდა მათ მხიარულ თამაშში,—ერთი სიტყვით, ბავშვებს შორის თვითონ ხდებოდა ბავშვად. გეპსტადის მინდორზე ჩვენ ზოგჯერ ვთამაშობდით ცხენობიას; მე ზურგზე შევისვამდი მარქსის ერთ პატარა გოგონას, თვითონ იგი მეორეს და დავიწყებდით ხტუნვასა და სირბილს—აბა ვინ გაუსწრობს. ზოგჯერ იმართებოდა ცხენოსანთა პატარა ტურნირი. უნდა ითქვას, რომ გოგონებს ისე თავისუფლად ეჭირათ თავი, თითქოს ისინი ბიჭები იყვნენ; როცა მათ სცემდენ მუშტებით, ისინი არც კი ტიროდენ.

ბავშვთა წრე მარქსისათვის მოთხოვნილებას წარმოადგენდა — იგი ძალას უბრუნებდა, ახალისებდა მას. როცა მისი საკუთარი ბავშვები დაიზარდნენ, ხოლო ზოგიერთები მოკვდენ, მათი ადგილი შვილისშვილებმა დაიკავეს. ჟენიმ, რომელიც სამოციანი წლების დასაწყისში მისთხოვდა ემიგრანტ-კომუნისტს ლონგეს, — მარქსის სახლი გამოაცოცხლათავისი ბავშვებით; ესენი ნამდვილი პატარა ველურები იყვნენ; განსაკუთრებით უყვარდა მარქსს ჟანი, ანუ ჟონი. მას განუსაზღვრელი „ძალაუფლება“ ჰქონდა მარქსზე და იცოდა კიდეც ეს. ერთხელ, ლონდონში ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დროს, ჯონის, რომელიც მშობლებმა აქ გამოგზავნეს პარიზიდან, – ეს ხდებოდა წელიწადში რამდენჯერმე, — მოუვიდა მშვენიერი აზრი: „მავრის“ 1) გადაქცევა ომნიბუსად; იგი ავიდა ეტლის საჯდომზე, ე. ი. „მავრის ზურგზე“, ხოლო ენგელსი და მე ცხენებად გაგვხადა. ჩვენ მართლაც შეგვაბეს, და დაიწყო გაათრებული ჭენება, ან, თუ გნებავთ, სირბილი პატარა ხეივანში, რომელიც იყო მარქსის კოტეჯს იქით მეიტლენდპარკის ქუჩაზე. შეიძლება ეს მოხდა აგრეთვე ენგელსთან, მის სახლში რეგენტპარკზე; თავისი ტიპით ლონდონის სახლები ისე გვანან ერთიმეორეს, რომ ადვილად შეიძლება მათი არევა; იგივე უნდა ითქვას ხეივნებზე. ორი კვადრატული მეტრი ხრეში და ბალახი, რომლებიც დაფარულია ლონდონის „შავი თოვლის“, ე. ი. ჰაერში გაბნეული კვამლის ისეთი სქელი ფენით, რომ ვერ გაარჩევ—სახელდობრ, სად იწყება და თავდება ბალახი და ხრეში,—აი ყოველივე ის, რასაც ლონდონში „ბაღს“ უწოდებენ.



ჭენების დროს გაისმოდა ხმები „გი ჰოპპ!“ და ინტერნაციონალური გერმანულ-ფრანგული და ინგლისური შეძახილი. „მავრი“ იძულებული იყო ერბინა თოხარიკით ისე, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლიდან; თუ მე და ენგელსი შევეცდებოდით ნაბიჯის შენელებას, გაისმოდა მათრახის ტლაშუნი, და შეუბრალებელი მეეტლე გვიყვიროდა: „აი შენ უხეირო ცხენო! გასწი, გასწი, წინ!“ ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ მარქსი ძალზე არ დაიღლებოდა; მაშინ ჯონისთან გავმართავდით მოლაპარაკებას და დროებით ზავს ჩამოვაგდებდით.

ვ. ლიბკნეხტი.

*) ოჯახში და ახლო მეგობართ წრეში მარქსს ზედმეტ სახელად „მავრს“ უწოდებდენ.

# ფრ. ენგელსის სიტყვა მარქსის საფლავზე

14 მარტს, ნაშუადღევის 2 საათსა და 45 წუთზე, შეწყვიტა აზროვნება უდიდესმა თანამედროვე მოაზროვნეთაგანმა. იგი მარტო სულ ორი წუთი დატოვეს. როდესაც ოთახში შევედით, ჩვენ იგი ვნახეთ სავარძელში მშვიდად მიძინებული, მაგრამ უკვე სამუდამოდ მიძინებული.

ევროპისა და ამერიკის მებრძოლი პროლეტარიატისათვის, ისტორიული მეცნიერებისათვის ამ კაცის გარდაცვალება განუზომელი დანაკლისია. უკვე უახლოეს მომავალში საგრძნობი გახდება ის სიცალიერე, რომელიც ამ გიგანტის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა.

მსგავსად იმისა, როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული მსოფლიოს განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის განვითარების კანონი; ის უბრალო ფაქტი, რომელიც ბოლო დრომდე დაფარული იყო იდეოლოგიური ბურუსით: რომ ადამიანებმა უნდა ჭამონ, სვან, იქონიონ საცხოვრებელი ბინა და ჩაიცვან, სანამ ისინი შეძლებდენ მისდიონ პოლიტექნიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვა, რომ, მაშასადამე, არსებობის უშუალო მატერიალურ საშუალებათა წარმოება და ამით ხალხის თუ ეპოქის ეკონომიური განვითარების ყოველი მოცემული საფეხური ქმნის საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და მოცემულ ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და, საიდანაც ისინი ამიტომ ახსნილ უნდა იქნან, და არა პირიქით, როგორც ეს დღემდე ხდებოდა.

მაგრამ ეს ცოტაა. მარქსმა აღმოაჩინა აგრეთვე წარმოების თანამედროვე კაპიტალისტური წესის და მის მიერ წარმოშობილი ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობის სპეციალური კანონი. ზედმეტი ღირებულების აღმოჩენით ამ დარგში ერთბაშად შეტანილ იქნა სიცხადე, მაშინ, როცა როგორც ბურჟუაზიული ეკონომისტების, ისე სოციალისტური კრიტიკოსების ყველა წინანდელი გამოკვლევა სიბნელეში უგზო-უკვლოდ ხეტიალს წარმოადგენდა.

ორი ასეთი აღმოჩენა საკმარისი იქნებოდა ერთი ადამიანის ცხოვრებისათვის. ბედნიერი იქნებოდა ის,



ფრ. ენგელსი.

ვინც ერთ ასეთ აღმოჩენას მიაღწევდა. მაგრამ მარქსმა მოგვცა დამოუკიდებელი აღმოჩენანი ყოველ დარგში, რომელსაც იგი იკვლევდა, მათემატიკის დარგშიც კი, - ხოლო ასეთი დარგები ცოტა როდი იყო, და არცერთ მათგანს იგი ზერელედ არ ეკიდებოდა.

ასეთი იყო მარქსი, როგორც მეცნიერი, მაგრამ არც ეს იყო მასში მთავარი. მეცნიერება მარქსისთვის ისტორიულად მამოძრავებელ რევოლუციურ ძალას წარმოადგენდა. რანაირ ცხოველ სიხარულს არ ჰგვრიდა მას რომელიც გნებავთ თეორიულ დარგში მიღწეული ყოველი ახალი აღმოჩენა, რომლის პრაქტიკული გამოყენებაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, - მისი სიხარული სულ სხვანაირი იყო, როცა საქმე ეხებოდა ისეთ აღმოჩენას, რომელიც დაუყოვნებლივ მოახდენდა რევოლუციურ ზემოქმედებას მრეწველობაზე, საერთოდ ისტორიულ განვითარებაზე; მაგალითად, იგი ზედმიწევნით თვალყურს ადევნებდა აღმოჩენათა განვითარებას ელექტრონების დარგში და ბოლო დროს კერძოდ მარსელ დეპრეს*) აღმოჩენებს.

ვინაიდან მარქსი, პირველ ყოვლისა, რევოლუციონერი იყო, მისი ცხოვრების ნამდვილი დანიშნულება იყო— ამა თუ იმ სახით მიეღო მონაწილეობა კაპიტალისტური საზოგადოების

---

*) მარსელ დეპრე (1843—1918)—ფრანგი მეცნიერი, ფიზიკოსი, მანძილზე ენერგიის გადაცემის პირველი ცდების ავტორი.

და მის მიერ შექმნილ სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა დანგრევაში, მიეღო მონაწილეობა თანამედროვე პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეში, რომელსაც მან პირველმა შთაუნერგა მისი საკუთარი მდგომარეობის და მოთხოვნილებათა შეგნება, მისი განთავისუფლების პირობების შეგნება.

ბრძოლა იყო მისი სტიქიონი, და ის იბრძოდა ისეთი გატაცებით, ისეთი დაჟინებით, ისეთი წარმატებით, როგორც მხოლოდ ცოტანი იბრძვიან. პირველი, „რეინის გაზეთი" 1842 წ., პარიზის „წინ" 1844 წ., „ბრიუსელის გერმანული გაზეთი" 1848-1849 წ.წ., „ნიუ-იორკის ტრიბუნა" 1852-1846 წ. წ. და, ამას გარდა, მრავალი საბრძოლო ბროშურა, მუშაობა პარიზის, ბრიუსელის და ლონდონის ორგანიზაციებში, სანამ ბოლოს არ წარმოიშვა, როგორც ყოველივე ამის გვირგვინი, დიდი „მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა" *) — ეს იყო ისეთი საქმე, რომლითაც, ჭეშმარიტად, შეეძლო ემაყა იმას, ვინც იგი შექმნა, თუნდაც ამის მეტი მას სხვა არაფერი შეექმნა.

აი რატომ იყო მარქსი ისეთი ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო ძულდათ და რომელსაც ყველაზე უფრო სწამებდენ ცილს. მას აძევებდენ როგორც თვითმპყრობელური, ისე რესპუბლიკანური მთავრობები. მის ცილისწამებასა და წყევლა-კრულვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდენ კონსერვატიული თუ ულტრადემოკრატიული ბურჟუები, იგი იშორებდა ყოველივე ამას, როგორც ობობას ქსელს. არ აქცევდა ამას ყურადღებას, პასუხს სძლევდა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს. და იგი გარდაიცვალა პატივცემული, საყვარელი, დატირებული მრავალ მილიონ რევოლუციური თანამებრძოლის მიერ მთელ ევროპასა და ამერიკაში, დაწყებული ციმბირის სამადნოებით და დათავებული კალიფორნიით; და მე თამამად შემიძლია ვთქვა: მას შეიძლება ჰყოლოდა ბევრი მოწინააღმდეგე, მაგრამ საეჭვოა, თუნდაც ერთი პირადი მტერი ჰყოლოდეს.

და მისი სახელი და საქმე საუკუნეებს გასცდება.

# როგორ მუშაობდა მარქსი

არა როგორც დაუღალავი და შეუდარებელი სოციალისტური აგიტატორი, არამედ როგორც სწავლული, წარდგა იგი ჩემს წინაშე პირველად იმ ოთახში, სადაც ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან თავს იყრიდენ პარტიული ამხანაგები, რომ გაეგოთ სოციალისტური აზრის ხელმძღვანელის შეხედულება სხვადასხვა საკითხზე.

ესაა ისტორიული ოთახი, რომელსაც უნდა ვიცნობდეთ, თუ გვსურს გავიგოთ მარქსის სულიერი ცხოვრების ინტიმიური მხარე.

ეს ოთახი იყო პირველ სართულში, სინათლე უხვად ეფინებოდა მას იმ ფანჯრიდან, რომელიც პარკში გადიოდა. ბუხრის ორივე მხარეს იდგა წიგნებით სავსე და თავამდე გაზეთების და ხელნაწერების დასტებით გატენილი კარადები. ბუხრის პირდაპირ და ფანჯრის ახლოს ორი მაგიდა ეკავა ქაღალდებს, წიგნებსა და გაზეთებს. შუაზე, ფანჯრის პირდაპირ იდგა ძალიან უბრალო და პატარა სამუშაო მაგიდა და მაგიდასთან — ხის სავარძელი. სავარძელსა და წიგნის კარადას შორის მოთავსებული იყო ტყავის სავარძელი, რომელზედაც მარქსი ისვენებდა. წიგნები ბუხარზეც ეწყო, — იქვე ნახავდით სიგარებს, ასანთებს, სათამბაქოებს, პრესპაპიეს, ქალიშვილების, ცოლის, ვილჰელმ ვოლფის და ფრიდრიხ ენგელსის სურათებს.

მარქსი ძალიან ბევრ სიგარას სწევდა. „კაპიტალი" ვერ დამიბრუნებს იმასაც კი, რაც ღირს მასზე მუშაობის დროს ჩემ მიერ მოწეული სიგარები" — მეუბნებოდა იგი შემდეგ.

მაგრამ იგი კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ანადგურებდა ასანთს. მას ისე ხშირად ავიწყდებოდა თავისი სიგარა ან ჩიბუხი, რომ ძალიან ხშირად უხდებოდა მათი კვლავ მოკიდება, რის გამო ასანთის კოლოფები არაჩვეულებრივად მოკლე დროში ცარიელდებოდა.

მარქსი არავის აძლევდა ნებას მოეყვანა წესრიგში, ან, უფრო სწორად რომ ითქვას, უწესრიგობაში — მისი წიგნები და ქაღალდები; იქ გამეფებული უწესრიგობა მხოლოდ მოჩვენებითი იყო, ისე კი ყველაფერი თავის ადგილას ელაგა, და ის მოუძებნელად მაშინვე პოულობდა სწორედ იმ წიგნს ან რვეულს, რომელიც მას ესაჭიროებოდა. ლაპარაკის დროს ის ხშირად ჩერდებოდა, რომ მიეთითებია წიგნში ამა თუ იმ ადგილზე ან ციფრებზე. ის თითქოს შეეზარდა თავის კაბინეტს და მასთან ერთ მთელს შეადგენდა; წიგნებსა და ქაღალდებს



ქალაქი ტრირი, სადაც დაიბადა კარლ მარქსი.

*) პირველი ინტერნაციონალი.

...ა იმარჯვებდა, როგორც საკუთარ ...ულის ნაწილებს.

წიგნების დალაგებაში მარქსი არ ...ცავდა გარეგნულ სიმეტრიას: თაბა... ხის მეოთხედი და მეექვსედი ფორმა... ...ის ბროშურები ერთიმეორეს გვერ... ...ით ეწყო. დალაგების წესი გან... ...საზღვრებოდა არა ფორმატით, არამედ შინაარსით. წიგნები მისთვის სულიერ ...იარაღს წარმოადგენდა და არა ფუ... ფუნების საგანს. „ისინი ჩემი მონებია ...და ჩემს ნებისყოფას უნდა ემორჩი... ...ლებოდენ“. მათი ფორმატი, ყდა, ...ქაღალდის ანაბეჭდის სილამაზე არა... ...ფერს ნიშნავდა მის თვალში: ის გადა... ...ეცავდა ხოლმე კუთხეებს, არშიებს ...აჭრელებდა ფანქრით გაკეთებული ...ნიშნებით და ხაზს უსვამდა ზოგიერთ ...სტრიქონს, ის არასოდეს არ ურთავ... ...და შენიშვნებს, მაგრამ ზოგჯერ ...თავს ნებას აძლევდა ჩაერთო გაკვირ... ...ვების თუ კითხვის ნიშანი, როცა ...ავტორი უკვე ძალიან შეტოპავდა. ...ხაზის გასმის ჩვეულება, რაც მან ...შეითვისა, ძალიან უადვილებდა მას ...გამოეძებნა საჭირო ადგილი წიგნში.

მარქსს ჩვეულებად ჰქონდა რამ... ...დენიმე წლის შემდეგ გადაეკითხა ...თავისი სამახსოვრო წიგნაკი და გადა... ...ევალიერებია წიგნებში დანიშნული ...ადგილები, რომ მტკიცედ აღებეჭდა ...ისინი თავის მეხსიერებაში. მარქსს დიდი მეხსიერება ჰქონდა. ჰეგელის რჩევით, ჯერ კიდევ ახალგაზრდო... ...ბაში, ზეპირად სწავლობდა ლექსებს მისთვის უცნობ ენაზე.

მარქსმა ზეპირად იცოდა ჰეინე და გოეთე და მათი თხზულებიდან ხშირად მოჰყავდა ციტატები საუბრის დროს; საერთოდ მას ძალიან უყვარ... ...და პოეზია.

ესქილს კითხულობდა ბერძნულ დედანში და იგი და შექსპირი მი... ...აჩნდა ორ უდიდეს დრამატურგ გენი... ...ოსად, როგორიც კი კაცობრიობას წარმოუშვია. შექსპირი, რომელსაც იგი უსაზღვრო პატივისცემით ეპყრო... ...ბოდა, მარქსმა გაიხადა საფუძვლიანი შესწავლის საგნად და იცნობდა მი... ...სი დრამების სულ უმნიშვნელო მო... ...ქმედ პირთაც კი. მარქსის ოჯახში გაბატონებული იყო დიდი ინგლისე... ...ლი დრამატურგის ნამდვილი კულტი. მისმა სამმა ქალიშვილმა შექსპირი ზეპირად იცოდა. როცა მარქსმა, 1848 წლის შემდეგ, მოისურვა უფრო სრულად შეესწავლა ინგლისური ენ... რომელზედაც იგი უფრო ადრე თავისუფლად კითხულობდა, იგი შე... ...უდგა შექსპირის ყველა სპეციფიური გამოთქმის შეგროვებას ... განსა... ...ზღვრული წესრიგით ჩაწერა ... გულ... ...დასმით სწავლობდა ... ამ კობეტის პოლემიკურ თხზულებათა ზოგიერთ ნაწილს; კობეტს იგი დი... ...დად აფასებდა. მარქსის უსაყვარლეს პოეტების რიცხვს ეკუთვნოდენ აგ... ...რეთვე დანტე და ბერნსი, და მას დიდ კმაყოფილებას ანიჭებდა მისი ქალი... ...შვილების მიერ შოტლანდიელი პოე... ...ტის სატირების ხმამაღლა კითხვა ან ბერნსის საყვარელი ლექსების ტექსტ... ...ზე დაწერილი რომანსების მღერა.

დაუღალავმა მოღვაწემ და დიდმა მეცნიერმა კიუემ პარიზის მუზეუმში, რომლის დირექტორიც თვითონ იყო, მოაწყო რამდენიმე სამუშაო ოთახ... პირადი მეცადინეობისათვის. ყოველი ოთახი დანიშნული იყო განსაკუთრე... ...ბული ხასიათის სამუშაოსათვის, ყო... ...ველში იყო ამისათვის საჭირო წიგ... ...ნები, ინსტრუმენტები, ანატომიურ... პრეპარატები და სხვა. ერთი ხასი... ...ათის მეცადინეობისაგან დაღლილ... კიუე მეზობელ ოთახში გადადიოდ... და სხვა საქმეს ჰკიდებდა ხელს: სწ... ...რედ ამაში მდგომარეობდა მისი დ... ...სვენება. მარქსი ასეთივე დაუღალა... მუშაკი იყო, მაგრამ მას სახსრები ... გააჩნდა მოეწყო თავისთვის რამ...



მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავზე აღსანიშნავი სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში 1933 წლის 14 მარტს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიმე სამუშაო კაბინეტი, როგორც კიუეს ჰქონდა. მის დასვენებას წარმოადგენდა წინ და უკან სიარული ოთახში; კარიდან ფანჯარამდე ხალიჩაზე გათელილი იყო ზოლი, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა, როგორც ბილიკი მინდორზე. მარქსი დროგამოშვებით წამოწვებოდა სავარძელზე და რომანს კითხულობდა. ამასთან რამდენიმე წიგნს ერთბაშად იწყებდა და მათ რიგრიგობით კითხულობდა დარვინის მსგავსად, ის რომანების დიდი მოყვარული იყო.

მარქსს უმთავრესად უყვარდა მე-18 საუკუნის რომანები, განსაკუთრებით კი ფილდინგის რომანები; მერმინდელ მწერლობიდან მას ყველაზე უფრო მოსწონდა პოლ-დე-კოკი, ჩარლზ ლივერი, ალექსანდრე დიუმა — მამა და ვალტერ სკოტი. ის გან[illegible]უთრებულ ინტერესს იჩენდა თა[illegible]ვლით და იუმორისტული ელემე[illegible]თ მდიდარ მოთხრობებისადმი; ყველა რომანისტებზე მაღლა სერვანტესსა და ბალზაკს აყენებდა. დონკიხოტში ის ხედავდა გადაშენებული რაინდობის ეპოსს, რომლის სიქველე ახლადწარმოშობილ ბურჟუაზიაში დაცინვისა და აბუჩად აგდების საგნად გადაქცეულიყო. ბალზაკს ისე მაღლა აყენებდა, რომ ფიქრობდა მის შესახებ კრიტიკული წერილის დაწერას, როცა დაასრულებდა თავის თხზულებას პოლიტიკურ ეკონომიაში. დიდი ეკონომისტის აზრით, ბალზაკი იყო არა მარტო თავის დროის ყოფაცხოვრების მწერალი, არამედ იმ პროტოტიპების შემოქმედიც, რომლებიც ლუდოვიკ-ფილიპეს დროს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ და რომლებიც მხოლოდ შემდეგ, ნაპოლეონ III დროს განვითარდენ.

მარქსი კითხულობდა ყველა ევროპულ ენაზე და წერდა სამ ენაზე: გერმანულ, ფრანგულსა და ინგლისურზე. ეს ენები მან ზედმიწევნით იცოდა და ხშირად იმეორებდა ფრაზას: „უცხო ენა იარაღია საარსებო ბრძოლაში". მას ჰქონდა დიდი ლინგვისტური ნიჭი, რომელიც მემკვიდრეობით მიიღეს აგრეთვე მისმა ქა-



სახლი, სადაც დაიბადა კ. მარქსი ქ. ტრირში.

ლიშვილებმა. როცა მარქსი უკვე 50 წლის იყო, იგი შეუდგა რუსული ენის შესწავლას და, ამ ენის სიძნელის მიუხედავად, რაღაც ექვსითვე თვის შემდეგ ისე დაეუფლა მას, რომ კმაყოფილებით კითხულობდა რუს პოეტებს და პროზაიკოსებს, რომელთა შორის განსაკუთრებით აფასებდა პუშკინს, გოგოლსა და შჩედრინს.

რუსული ენის შესწავლას მან ხელი მიჰყო იმ მიზნით, რომ წაეკითხა ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა გამოქვეყნებას მთავრობა კრძალავდა, რამდენადაც ისინი საშინელ მამხილებელ მასალას შეიცავდენ. ამ დოკუმენტებს მარქსს აწვდიდენ ერთგული მეგობრები, და იგი, უეჭველია, იყო დასავლეთ ევროპის ერთადერთი ეკონომისტი, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა მათ გასცნობოდა.

მარქსს პოეზიაზე არა ნაკლებ უყვარდა მათემატიკაც; ალგებრა მისთვის ზნეობრივ ნუგეშსაც კი წარმოადგენდა: მას მიმართავდა თავისი მოუსვენარი ცხოვრების ყველ[...] მძიმე წუთებში. ცოლის უკანასკნ[...] ავადმყოფობის დროს მას არ შეეძ[...] განეგრძო ჩვეულებრივი სამეცნიე[...] მუშაობა, და ამ მძიმე მდგომა[...] ობაში ის რამდენადმე მშვიდდებ[...] მხოლოდ მაშინ, როცა მათემა[...] კაში ჩაეფლებოდა. ამგვარად [...] დაწერა შრომა უსასრულო მც[...] ოდენობათა გამოანგარიშების შესა[...] რომელსაც, სპეციალისტების აზრ[...] დიდი მეცნიერული მნიშვნელ[...] აქვს. მათემატიკაში ის პოულო[...] დიალექტიკური მეთოდის გამოყ[...] ბას, მისი ყველაზე უფრო აბსტ[...] ტული და, მაშასადამე, უმარტი[...] ფორმით. მარქსი იმ აზრის იყო, [...] მეცნიერება მხოლოდ მაშინ მიაღ[...] განვითარების უმაღლეს დონეს, [...] ცა მათემატიკას დაეყრდნობა.

მარქსი არ კმაყოფილდებოდა ა[...] ზე მეტი ტომის შემცველი სა[...] თარი ბიბლიოთეკით, რომელიც [...] მზრუნველობით შეაგროვა თა[...] ხანგრძლივი და განსაცდელით [...]

ლარი ცხოვრების განმავლობაში, — ის გულმოდგინედ დადიოდა ბრიტანეთის მუზეუმში, რომლის წიგნსაცავს დიდად აფასებდა. მისი მოწინააღმდეგენიც კი იძულებული იყვნენ აღეარებიათ, რომ მას ჰქონდა უაღრესად ფართო და ღრმა ცოდნა არა მარტო თავის სპეციალობაში — პოლიტიკურ ეკონომიაში, არამედ ფილოსოფიაში და მსოფლიო ლიტერატურაშიაც კი.

მარქსი ძლიერ გვიან იძინებდა, მაგრამ უკვე დილის 8-დან 9 საათამდე ყოველთვის ფეხზე იყო, შავ ყავას სვამდა, წაიკითხავდა გაზეთებს და შეუდგებოდა მუშაობას, რომელიც ღამის 2 და 3 საათზე მთავრდებოდა. შესვენებას წარმოადგენდა სადილი და, თუ კარგი ამინდი იდგა, [illegible] გასეირნება საღამოობით; გარდა ამისა, იგი დღისით ორ საათს იძინებდა თავის სავარძელში. ახალგაზრდობის დროს მარქსი მუშაობაში მთელ ღამეებს ატარებდა. მარქსი გატაცებული იყო მუშაობით; მუშაობა ისე ნთქავდა მარქსს, რომ ხშირად მას ჭამა ავიწყდებოდა; ზოგჯერ რამდენიმეჯერ უნდა დაეძახათ იგი სადილად, სანამ ის სასადილოში შევიდოდა და, როგორც კი მორჩებოდა ჭამას, მაშინვე თავის ოთახში ბრუნდებოდა. ის ძალიან ცოტას ჭამდა, მადაც არ ჰქონდა და მის გამოსაწვევად ხმარობდა მჟავე და დამარილებულ საჭმელს — ლორს, გამხმარ თევზს, ხიზილალასა და წნილს. დაჭიმული გონებრივი მუშაობა გავლენას ახდენდა კუჭის მუშაობაზე, — მთელი ორგანიზმი მსხვერპლად მიჰქონდა თავისი გონებისათვის; აზროვნება მისი უმაღლესი კმაყოფილება იყო. მე ხშირად მსმენია, თუ როგორ იმეორებდა იგი ჰეგელის სიტყვებს, რომლის ფილოსოფიით იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში განიმსჭვალა: „ავაზაკის ყველაზე უფრო დანაშაულებრივ აზრს მეტი ფასი და მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზეცის ყველა სასწაულს".

უნდა გქონოდა მეტად მაგარი ორგანიზმი, რომ გადაგეტანა ასეთი არაჩვეულებრივი ცხოვრება და ასეთი მომქანცველი გონებრივი მუშაობა.

მართლაც, მარქსი ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო, საშუალოზე მაღალი, განიერი მხარბეჭით, კარგად განვითარებული გულმკერდით. მარქსი სავსებით პროპორციული მოყვანილობის იყო, მხოლოდ ტანი, ფეხებთან შედარებით, რამდენადმე უფრო გრძელი ჰქონდა, როგორც ამას ხშირად ვხვდებით ებრაელთა მასაში. მარქსს რომ ახალგაზრდობაში გიმნასტიკისათვის მიეყო ხელი, ის ფიზიკურად მეტად ძლიერი გახდებოდა, მაგრამ ერთადერთი ფიზიკური ვარჯიშობა, რომელსაც იგი რეგულარულად ეწეოდა, სიარული იყო; მთელი საათობით, საუბრისა და სიგარის მოწევის დროს, მას შეეძლო სეირნობა, მთებზე ასვლა ისე, რომ არავითარ დაღლილობას არ გრძნობდა. შეიძლება კიდეც ითქვას, რომ მარქსი თავის კაბინეტში მუშაობისას თითქმის სულ მიმოდიოდა; მხოლოდ მოკლე ხნით ჯდებოდა იმის ჩასაწერად, რაც სიარულის დროს მოისაზრა; მას ძალიან უყვარდა ლაპარაკი სიარულის დროს. დროგამოშვებით ჩერდებოდა განსაკუთრებით ცოცხალი საუბრის ან სერიოზულ საკითხზე ლაპარაკის დროს.

მარქსს ჰქონდა ფაქტების არაჩვეულებრივი მდიდარი მარაგი ისტორიის, ბუნებისმეტყველების და ფილოსოფიური თეორიების სფეროდან და საუცხოვოდ იყენებდა ხანგრძლივი გონებრივი მუშაობით შეძენილ უამრავ ცოდნასა და დაკვირვებას. მას შეიძლებოდა შეკითხოდით, როცა გნებავდათ და რაზედაც გნებავდათ, და ყოველთვის მიიღებდით ისეთ საფუძვლიან პასუხს, როგორის მოსურვებაც კი შესაძლებელი იყო. ეს პასუხი ყოველთვის განმაზოგადოებელ ხასიათს ატარებდა და ფილოსოფიურად დასაბუთებული იყო. მისი გონება თითქო სამხედრო გემს წარმოადგენდა, რომელიც გაშლილი აფრებით იდგა ნავსადგურში და მუდამ მზად იყო ცურვისათვის აზრის ყოველი მიმართულებით. „კაპიტალი", უეჭველია, აშკარავებს განსაცვიფრებელი სიძლიერისა და უდიდეს[illegible] მქონე გონებას. მაგრამ ჩემთვის, ისე, როგორც ყველასათვის, ვინც მარქსს ახლო იცნობდა, ვერც „კაპიტალი", ვერც მისი რომელიმე სხვა თხზულება ვერ ამოწურავს მისი გენიისა და ერუდიციის მთელ სიდიდეს, — ის თავის შრომებზეც უფრო მაღლა იდგა.

მარქსი არასოდეს არ იყო კმაყოფილი თავისი მუშაობით, მას შემდეგ ყოველთვის შეჰქონდა ცვლილებანი ამ მუშაობაში და ყოველთვის ფიქრობდა, რომ მისი გადმოცემა არ იძლევა საკმაოდ ნათელ წარმოდგენას საგანზე.

მარქსი მუდამ უაღრესად კეთილსინდისიერად მუშაობდა: თავის მიერ მოყვანილ ყოველ ფაქტს, ყოველ ციფრს ის საუკეთესო ავტორიტეტებზე მითითებით ადასტურებდა.

ის არ კმაყოფილდებოდა მეორე წყაროდან მიღებული ცნობებით: იგი ყოველთვის პირველ წყაროს აღწევდა. რა სიძნელეც გადაეღობებოდა ამ გზაზე, რომ დარწმუნებულიყო მისთვის საინტერესო ფაქტში, ის ყოველთვის ბრიტანეთის მუზეუმისაკენ მიიჩქაროდა.

პუბლიცისტურ შრომებში ის ისევე სასტიკად ეკიდებოდა თავის თავს, როგორც მეცნიერულ შრომებში. ის არათუ არასოდეს არ მიუთითებდა ისეთ ფაქტებზე, რომლებშიაც სავსებით არ იყო დარწმუნებული, არამედ არასოდეს არ აძლევდა თავს ნებას ელაპარაკა ისეთ საგნებზე, რომლებიც წინასწარ საფუძვლიანად არ ჰქონდა შესწავლილი.

პ. ლაფარგი.

# საპირველმაისო პირველი ყიჟინა

(ხალხურ კილოზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად რომ მოგვიწოდა
პირველ მაისმაო,
„ძმობა-ერთობის‘‘ ყიჟინაც
მაშინ გაისმაო.
თვითშეგნების გზას დაადგა
მშრომელი ხალხიო,
ბრძოლის სიმღერით შეცვალა
მოთქმა-ვაგლახიო.
დავირაზმეთ,
დავიფიცეთ,
წითელ დროშაზეო:
ჩვენ შორის ვინც უღალატოს, —
დაუბნელდეს მზეო!
თუმცა ჯაშუშებიც გვყავნდენ
შემოპარულიო,
მაგრამ მათზე შურს ძიობდა
რისხვა ფარულიო.
ეჰ, ვინ აღწერს,
წარსულ დროში
რაც თავს გადაგვხდაო,
ზოგს სახრჩობელა არგუნეს,
ზოგს ციმბირი ჰხვდაო.
თუმც მორჩილად ატარებდა
მონურ უღელს ყმაო,
მაინც მისი „ჯილდო“ იყო
მათრახის დარტყმაო.
გლეხკაცს ყველა იბრიყვებდა,
კაცად არ თვლიდაო,
თავადიშვილს თუ უნდოდა —
ძაღლზე გაცვლიდაო.
აწიოკებდა ოჯახებს,
სცემდა სახრითაო,
ზოგს საჩუქრად არიგებდა,
ზოგსაც გაყიდდაო.
ვინც ბატონს გაექცეოდა—
„ტყის ძმად“ ხდებოდაო,
მაგრამ იქაც ჰზვერავ მტრისგან
ტყვია ჰხვდებოდაო.
ეჰ, რაც იყო
აღარ არის,
არც დაბრუნდებაო,
ოქტომბერი სხვა ქვეყნებშიც
ა გ უ გ უ ნ დ ე ბ ა ო.
არა, ჩვენი მაჯისცემა
არ მოდუნდებაო,
ვაი იმას,
ვინც რომ სამტროდ
მოგვიბრუნდებაო.
მზის თვალებით
შემოგვცინა
პირველ მაისმაო
და ყიჟინა:
„გასწით წინა!“
მედგრად გაისმაო.
და ჩვენც მტკიცედ
ამ წინსვლაში
ვიპყრობთ მწვერვალებსო;
მსოფლიოში მოძმე კლასიც
ხმალს აელვარებსო.
გაუმარჯოს წითელ მაისს
კიდით-კიდეზეო,
დაეუფლოს დღეს თუ გაის
კომუნიზმის მზეო;
მაშ წინ, ძმებო!
ერთად!
მწკრივად! ჰქქდეს ჩვენი ხმაო!
ვიქცეთ
მთლიან კოლექტივად
გაღმა-გამოღმაო!

გ. ქუჩიშვილ



კომუნის სხდომა ოტელ დევილის მერთა დარბაზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხ. ფილიპე მახარაძესთან

ძალზე ცივი დღეა. ქარი სახეში გვაყრის მტვერს და ჩვენს წითელ ყელსახვევებს ლამაზად აფრიალებს. ჩვენ მივდივართ. მივდივართ მტკიცედ, პატარა მკერდებით ვარღვევთ ძლიერ ქარს. ჩვენ პირდაპირ სასახლეში მივდივართ. უნდა შევასრულოთ ჩვენი გეგმის ერთ-ერთი მუხლი, უნდა ვესაუბროთ ანტირელიგიურ დღეებზე ძველ ბოლშევიკს, საყვარელ ბელადს — ამხ. ფილიპე მახარაძეს. და აი, ჩვენ უკვე მივედით სასახლეში. „მოგვეცით ნებართვის ბარათი, გაგვიშვით ამხ. ფილიპე მახარაძესთან", და ყველა იქ მყოფთა გაკვირვებული თვალი ჩვენ მოგვჩერებია. მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ სკოლიდან გამოგვრეკეს და ამიტომ გვინდა მისი ნახვა. თავს გვაბეზრებენ ათასგვარი კითხვით. არა, ეს ასე არაა, ჩვენ ყველანი მოწინავე პიონერები ვართ, არ ვიცით, რა არის სუსტი ნიშანი, არ ვარღვევთ დისციპლინას, არ ვაცდენთ გაკვეთილებს, არ ვაგვიანებთ, ასეთ მოწაფეებს კი საბჭოთა სკოლიდან არ აძევებენ.

სასახლეში ყველა ღიმილით გვხვდება. ფ. მახარაძეს ბევრი ხალხი ელოდება. ჩვენც დაგვჭირდა ლოდინი. გავიდა რამდენიმე წუთი, და ჩვენც დაგვიძახეს. შევედით კაბინეტში. გავუკეთეთ პიონერული სალუტი. ჩვენ პირველად ვნახეთ იგი. ეტყობა, ბავშვები უყვარს. „რას მოითხოვთ ჩემგან, მეგობრებო, — გვეკითხება ღიმილით და თან ისე კარგად გვიცქერის. „ჩვენ, ჩვენ — უპასუხებს ბავშკორი ...აფურია, — ჩვენ გვინდა გვესაუბროთ ანტირელიგიურ დღეებთან დაკავშირებით სემინარიის ცხოვრებაზე, თქვენ რომ იქ სწავლობდით. გნებავთ იმაზე, თუ როგორ მიდიოდა სემინარიაში მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები". ჩვენ კი ამ საუბარს, — განაგრძობს ბავშკორი წილოსანი, — ჩვენი გაზეთის „ნორჩი ლენინელი"-ს საშუალებით გავუზიარებთ მთელ რესპუბლიკაში ჩვენს ამხანაგ პიონერებს და მოწაფეებს".

— კეთილი, კეთილი, — სულ მთლად გათეთრებულ წვერზე ხელი მოხდენილად აისვ-დაისვა, ჰკვიანი ცისფერი თვალები მოგვაპყრო, სათითაოდ დაგვათვალიერა ყველა და დაბალი ხმით დაიწყო საუბარი.

### 1. სასტუმრო „პალასი"

თქვენ, ალბათ, გეცოდინებათ სასტუმრო პალასი (კეცხოველის ქუჩაზე). ამ შენობაში იყო მოთავსებული სემინარია, სადაც მე ვსწავლობდი. სემინარია იყო სასულიერო სასწავლებელი, ამიტომ მასწავლებელნი თითქმის სულ მღვდლები და ბერები იყვნენ. სემინარიის რექტორიც სასულიერო პირი იყო. როცა პირველად მივედი სემინარიაში, 15 წლის ვიყავი, დაახლოვებით თქვენოდენა.

### 2. ღმერთი, ანგელოზები და ეშმაკები

როცა მე პატარა ვიყავი, მწამდა ღმერთი, მწამდა, რომ არსებობდენ ანგელოზები, ეშმაკები, კუდიანები. ასეთი რწმენით მივედი სემინარიაში, ასე გვასწავლიდენ ჩვენ, ასე სწამდა ხალხს. პატარა ბავშვი თუ მოკვდებოდა, ის უთუოდ ანგელოზი გახდებოდა, — ასეთი შეხედულება იყო გავრცელებული მაშინ. თქვენ უკვე იცით, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა და გეცინებათ, მე კი მაშინ ყოველგვარი ხალხური ცრუმორწმუნეობა მწამდა, მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ეშმაკები და კუდიანები იგივე სასულიერო პირები იყვნენ, რომლებიც ასე მოხერხებულად ატყუებდენ და ატყავებდენ ხალხს.

### 3. ზიარება და მარხვა

რასაკვირველია, თქვენ არ იცით, რა არის ზიარება და მარხვა. თქვენ არ იცით, რომ მიგველო ზიარება, — და ეს აუცილებელი იყო ყველა სემინარისტისათვის, — აღდგომის წინ უნდა შეგვენახა დიდი მარხვა, რომელიც 40 დღე გრძელდებოდა, ე. ი. 40 დღე უნდა ვყოფილიყავით ნახევრად მშივრები. განსაკუთრებით მკაცრი, აუტანელი იყო მარხვის პირველი და უკანასკნელი კვირა. უკანასკნელ კვირას „ვნების კვირა" ერქვა და ჩვენ, არალეგალურ წრეში მომუშავე სემინარისტებს, საშინლად გვძულდა „ვნების კვირა", ისე, როგორც გვძულდა ყველაფერი რელიგიური, სარწმუნოებრივი. განსაკუთრებული მზადება მიმდინარეობდა რელიგიური დღესასწაულის პერიოდში. ამ დროს სემინარიაში ჩამოდიოდა ეგზარხოსი, მთელი ხელმძღვანელობა, და მორწმუნე სემინარისტები დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ. ჩვენ კი (მეამბოხის სახელს გვიწოდებდენ ყველას, ვინც კი წინააღმდეგი ვიყავით იმათი რწმენის) ამ მზადებაში არავითარ მონაწილეობას არ ვღებულობდით.

გამოვიდა მარიჯანის „ზურა ატმის ქალაქში".

წაიკითხეთ და მოგვაწოდეთ თქვენი აზრი ამ წიგნის შესახებ.

რედაქცია.

### 4. როგორ გავხდი ულმერთო

სემინარიაში მეტისმეტად ცდილობდენ, რომ ჩვენ ვყოფილიყავით ღრმა მორწმუნენი. პირდაპირ გვაწამებდენ ღმერთისა და ქრისტეს სახელით. ამან ჩემზე საწინააღმდეგო გავლენა მოახდინა. იმდენად ყალბი იყო ყველაფერი, რასაც ეკლესია და მისი მსახური სამღვდელოება გვაწვლიდა, იმდენად დესპოტური იყო მათი მოპყრობა ჩვენს მიმართ, რომ ერთი წლის შემდეგ მე ღმერთი აღარ მწამდა და ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ რელიგია თვალთმაქცობა და სიცრუეა.

### 5. თემა: ღმერთის არსებობის შესახებ

როცა მეექვსე კლასში ვიყავი, მომცეს დასამუშავებლად თემა: „ღმერთის არსებოპის შესახებ". მე, რომელსაც არ მწამდა ღმერთის არსებობა, უნდა დამეწერა, რომ არსებობს ღმერთი, და იმ ყალბი საბუთებით, რომელიც მოიპოვებოდა სალვთისმეტყველო წიგნებში, დამემტკიცებია ეს. როგორღაც არ გამოდიოდა, რადგან ამ დროს მე გაცილებით უკეთესად შემეძლო დამეწერა ღმერთის არ არსებობის შესახებ, მაგრამ მე ვიყავი მოწაფე და ამდენად იძულებული ვიყავი, რომ მოცემული თემა დამემუშავებია. მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვათა შორის, და არა საუკეთესოდ.

### 6. ჩვენ მოგველოდა გაძევება და ციხე

მაშინ რომელიმე ჩვენთაგანისათვის რომ დაემტკიცებიათ, რომ ღმერთი არ სწამდა, სასტიკად დასჯიდენ: გააძევებდენ სემინარიიდან და ჩასვამდენ ციხეში. მე არ დავდიოდი სისტემატურად ლოცვებზე. ეს შენიშნული ჰქონდათ (საერთოდ, მე შემჩნეული ვიყავი, როგორც მოწინააღმდეგე), მაგრამ ხანდახან გამოვჩნდებოდი ხოლმე ლოცვაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საშუალება არ ჰქონოდათ დაემტკიცებიათ ჩემთვის ულმერთობა, ათეისტობა, სინამდვილეში კი მე ნამდვილი ულმერთო ვიყავი.

### 7. ძველი პედაგოგიკის სიბრძნე

ჩვენ უნდა გველოცა დილითაც და საღამოთიც. ლოცვა გრძელდებოდა $1^1/_2$ — 2 საათამდე და არავინ არ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ ვიქანცებოდით დღეში 4 — 5 საათის ფეხზე დგომითა და ლოცვით. ძვირად გვიჯდებოდა სემინარისტებს ძველი პედაგოგიკის სიბრძნე. ჩვენი მასწავლებლები ყველანი იყვნენ, გარდა პედაგოგებისა.

### 8. არცერთი საგანი არ იძლეოდა გონებრივ საზრდოს

ჩვენ ვსწავლობდით რამდენიმე საგანს, მაგრამ არცერთი მათგანი არ იძლეოდა გონებრივ საზრდოს, არ იყო ნაყოფიერი. ჩვენ გვაზეპირებინებდენ ლოცვებს, სალვთო სჯულს, კათეხიზმოს, გვაზეპირებინებდენ ყველაფერს, რის დაზეპირებაც კი შეიძლებოდა. სკოლა არ გვაჩვევდა აზროვნებას, დაფიქრებას, პირიქით, იგი ცდილობდა ჩაეხშო მოსწავლე ახალგაზრდობაში კვლევითი უნარი. ჩვენ ყველაფერი უნდა მიგველო დოგმად. ეს გასაგებიცაა: მათ ეშინოდათ ჩვენში არ გამომუშავებულიყო კრიტიკის უნარი, რაც მათ დიდ საფრთხეს უქადდა. ცნობილია, რომ ფხიზელი გონება ვერ იტანს სიყალბეს, იგი გამოააშკარავებდა რელიგიის უსუსურობას, რელიგიის სიყალბეს. ეს ასეც მოხდა. მათ სურდათ ჩვენგან გამოეყვანათ საუკეთესო სასულიერო პირები, მორჩილი, უნებისყოფო ხალხი და, წინააღმდეგ მათი სურვილისა, ჩვენი უმრავლესობა საუკეთესო რევოლიუციონერები გამოვიდა.

### 15-16 წლის არალეგალური მომუშავე

სემინარიაში სხვადასხვა წრეები იყო, იყო არალეგალური წრეც. ეს წრე აერთიანებდა ისეთ ახალგაზრდობას, რომელთაც არ სწამდათ არაფერი მონარქიისა და რელიგიის, და მეც ჩემი ახალგაზრდული ხალისით ვმუშაობდი ამ წრეში. იქ ვკითხულობდი აკრძალულ წიგნებს. ბევრი მათგანი ანტირელიგიური ხასიათის იყო. არალეგალურ წრეში ვღებულობდი თვითგანვითარებას, რომელიც გაცილებით უფრო ნაყოფიერი იყო, ვიდრე სემინარიაში მოსმენილი გაკვეთილები. არალეგალურ წრეში ვღებულობდი ცოდნას, თუ როგორ უნდა მემოქმედა სემინარიის ხელმძღვანელების წინააღმდეგ და, საერთოდ, მაშინდელი მთავრობის წინააღმდეგ".

საუბარი დასრულდა, მეტი დრო აღარ იყო, მას სხვები ელოდენ. ჩვენ გამოგვაცილა საყვარელი ბელადის ნათელმა ღიმილმა. გარეთ ისევ ქარი ქრის. ჩვენ ვფიქრობთ არალეგალურ წრეში მომუშავე 15-16 წლის ფილიპე მახარაძეზე, რომელმაც მაშინ უარჰყო ღმერთი, ეშმაკები, ანგელოზები, როცა ყველას ძვალსა და სისხლში ჰქონდა გამჯდარი სარწმუნოება და ცრუმორწმუნოება, და აირჩია ფრიად ძნელი, მაგრამ სწორი გზა.

და ჩვენ, ამხანაგო ბავშვებო, პიონერებო, მოვალენი ვართ, ყველაზე მეტი მოვალენი ვართ ვიბრძოლოთ ყოველგვარ რელიგიურ ცრუმორწმუნოების ნაშთების წინააღმდეგ, რომელნიც აქა-იქ ჯერ კიდევ არის დარჩენილი ხალხში.



ფ. მახარაძის სახელობის საგარეჯოუბნო კოლმეურნეობის დამკვრელი ქალები

(ნაწყვეტი)

თორმეტის ნახევარზე შეწყდა მუშაობა. ისევ საყვირმა ამცნო მუშებს, რომ სადილობის დრო მოახლოვდა. ყველა წელში გასწორდა, გარეთ გამოვიდენ. ზურა მხოლოდ გუშინ მოვიდა გორის საკონსერვო ქარხანაში, მან არ იცის ვისთან იყოს, ვის მიეკედლოს, და ისევ კედელსა ეკრა.

სერგეიმ, შარშანდელმა ქუჩის ბავშვმა, ის იყო დააპირა სასადილოსკენ გაქცევა, რომ ამქრის უფროსმა ამხანაგმა შენიშნა და შეაჩერა.

— აბა, ძმობილო, მოდი აქ, დაიჭი ეს ბარათი და წაიყვანე ზურა სასადილოში; აბა შენ იცი, როგორ გაუმასპინძლდები!

სერგეის არ იამა ასეთი დავალება და ცხვირი აიწია.

— ზურა, აბა გაჰყე სერგეის, ხელების დაბანა კი არ დავავიწყდეს.

ზურა მორჩილად გაჰყვა.

სერგეი ასკინკილა მირბოდა.

— მიზანში სროლა იცი? — შეეკითხა სერგეი.

— ვიცი.

— ჭიდაობა?

— ვიცი.

— ორფუთიანს აწევ?

— არ მიცდია.

— მე ავწევ! — დაიტრაბახა სერგეიმ.

— რამდენი კიტრის შეჭმა შეგიძლია ზედიზედ?

— არ დამითვლია.

— მე ათ კიტრს შევჭამ.

ზურას გაეცინა:

— ხომ მუცელზე გასკდი!

— შენ თვითონ გასკდი! ატამს რამდენს შეჭამ!

— რამდენიც მინდა.

— რამდენიც კი არა, დაასახელე.

— არც ეგ დამითვლია.

— მე, შარშან რომ ჩამოვედი, პირველად გორში ვნახე ატამი.

— საიდან მოხვედი?

— შორიდან. ეხ, სად არ ვყოფილვარ.

— მე კი არსად, სოფელს პირველად გამოვშორდი.

— განა არა, გეტყობა! — დაცინვით უთხრა სერგეიმ.

ზურას, ცოტა არ იყოს, ეწყინა, აიმრიზა.

— მერე, რა ჩემი ბრალია, თუ არ მომიხდა სოფლიდან წამოსვლა. ახლაც არ უნდოდათ ჩემი წამოყვანა.

— გამოიპარე?

— არა, მამამ წამომიყვანა და ავცდი.

— როგორ, გზა დაგეკარგა? — დასცინა კიდევ სერგეიმ.

— სრულიადაც არა. მე განზრახ დავემალე და დავრჩი. ..

— ყოჩაღ! — მოუწონა სერგეიმ, — ვაჟკაცი ყოფილხარ, მე კი ქალაჩუნა მეგონე!

ზურას ხელისგული ეფხანებოდა სერგეის გასარტყმელად, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— აი ესეც ჩვენი სასადილო, — მიუთითა სერგეიმ.

სასადილო ქარხანაზე მოშორებით არის. აივანზე მუშები მოგროვილიყვნენ, შესავალ კართან რიგები იდგა. ზურა ფანჯარაში შეიჭყიტა. გრძელი უზარმაზარი დარბაზი. ოთხკუთხედი პატარა მაგიდები, ირგვლივ სუფთა, კოხტა სკამები. დარბაზის წინა ნაწილში — სასცენო ესტრადა, კედლებზე — ბელადების სურათები; ასეთი სურათები მასწავლებლის ოთახში უნახავს ზურას. ბავშვების შესვლის რიგმაც მოაწია. წინ სერგეი მიდიოდა, უკან ზურა მისდევდა და მაგრად ქამარში ჩაეჭიდა ხელი, სერგეი ცქმუტავდა და ცხენივით ჭიხვინებდა. ზურა კარგ გუნებაზე დადგა, სულ ეცინებოდა.

შესავალ კართან ქალი იდგა წინსაფარით და მხარზე ტილო ჰქონდა გადაგდებული. გვერდით, სკამზე, — დიდი ყუთი კოვზებით იყო სავსე.

როგორც კი შევიდენ ბავშვები, სათითაოდ მისცა კოვზი. სერგეიმ მიიყვანა ზურა და ერთ-ერთ მაგიდასთან დაიკავა ადგილი, თვითონ კი წავიდა ბუფეტში და სადილი შეუკვეთა. ზურამ [...] ლიერა გრძელი დარბაზი. მე[...] დელზე გაკრულ დიდრონი ა[...] დაწერილი ლოზუნგების კით[...] იწყო:

„სალამი დამკვრელებს და [...] რელ ქალებს, საბჭოთა მშენებლ[...] სახელოვან გმირებს!“

„ნორჩო პიონერებო — ოქ[...] რის შვილებო! მზად იყავით გან[...] ძოთ და დაამთავროთ ლენინის [...] დი საქმე — მსოფლიო ოქტომბ[...] საქმე!“

„ყოველდღიური ზრუნვა მუშ[...] და გლეხთა მატერიალურ საჭირ[...] ებაზე სოციალიზმის მშენებლო[...] უმნიშვნელოვანესი პირობაა“.

„არცერთი მტკაველი სხვისი [...] წა არ გვინდა, მაგრამ არცერთ გ[...] ჯა ჩვენ მიწას არავის დავუთმობთ[...]“

„ბოლშევიკები უნდა დაეუფლ[...] ტექნიკას!“

მალე სერგეიც დაბრუნდა. ხელე[...] სიამოვნებით იფშვნეტდა და ზურ[...] გვერდით ჩამოსკუპდა სკამზე. ცო[...] ხნის შემდეგ მოუტანეს ორთავეს ქა[...] ქაფა წვენი და მოხარშული მაკარო[...] ნი. სასადილო გაივსო მუშებით. ორი ხნიერი დედაკაცი მოვიდა [...] იმათ გვერდით დაიკავეს ადგილ[...] ერთი მათგანი ზურას გუშინდელ[...] ნაცნობი გამოდგა, მთავარი ცეხ[...] დან.

— შენ უკვე მოეწყე? ყოჩაღ[...] უკვე სადილობ ჩვენთან. მუშებშ[...] ჩაეწერე, რაღა?

სასადილოში ძალიან ხმაურობდენ. რადიოს რუპორი მუსიკას გადმოსცემდა. მაგრამ ამ ჟრიამულში მუსიკას არავინ უსმენდა. მხოლოდ ზურას უნდოდა გაეგონა, და ჰანგის ნაწყვეტები ეწვეთებოდა ყურში.

— აბა დაუჩქარეთ! — შეუტია ვიღაც ამხანაგმა ბავშვებს, — რომ გამოჰიმულხართ და ნელ-ნელა შეექცევით, ჩვენ ფეხზე ხომ არ ჩამოვშეშდებით.

*) წიგნი იბეჭდება და მალე გამოვა. რედ.

21 36
ეროვნული ბიბლიოთეკა



გორის საკონსერვო ქარხანა.

ზურა შეკრთა. ზურა არ იყო დაჩვეული ჩქარა ჭამას. პირიქით, დედა სულ იმას ეუბნებოდა: ბიჭო, ნელა ჭამე, რომ შეგერგოსო. არც ისეთი ცხელი შექამანდი უჭამია. პირი ეწვის ზურას სიჩქარისაგან. ისევ მაკარონის ჭამა ამჯობინა.

სერგეიმ ხელათ შესანსლა თავისი კერძი. ზურამ თავი დაანება ჭამას და სერგეის უცქეროდა, რომ იმის ადგომაზე თვითონაც ამდგარიყო.

— ჭამე, შვილო, ვახშმამდე მოგშივა.

ახმახი კაცი არ სცილდება იმათ მაგიდას. ზურამ თავი დაანება ჭამას და ადგა. სერგეიც წამოდგა. მეორე კარისაკენ მიდიან. სერგეიმ წინ გაუშვა ზურა.

— კოვზი რა უყავი? — მრისხანედ შეეკითხა მეორე კართან მდგომი. ზურა გაცეცდა, რა კოვზი, რის კოვზი?

გატრუნული სერგეი ეშმაკურად იღიმებოდა.

— ბიჭო, ხუმრობისთვის არ მცალია. ამოიღე მეთქი კოვზი!

ზურა გაშტერებული შესცქეროდა.

— აბა, რა ამათი საქმეა ქარხანაში ყოფნა, ვინც არა მგონია, აქ დაეხეტება. ლაწირაკო, მოიპარე, განა? მაჩვენე შენი ჯიბე, შე ქურდო, შენა!

ქალი მივარდა ჯიბეს გასაჩხრეკად.

ზურას ცივმა ოფლმა დაასხა. ხელები გაუცივდა, ფეხები აუკანკალდა.

ზურას კოვზი არ აღმოაჩნდა.

— რა უყავი მეთქი კოვზი! მაგიდაზე დატოვე, განა? წადი, მოიტანე ახლავე, თორემ აქედან ფეხს არ მოგაცვლევინებ.

ზურამ სერგეის შეხედა. სერგეიმ თავი ველარ შეიმაგრა და გადიხარხარა.

— რა იყო, რა მოხდა! აი შენი კოვზები!

სერგეი შემოტრიალდა და წელში გაყრილი კოვზები აჩვენა.

ქალმა აკრიფა კოვზები და ბურტყუნ-ბურტყუნით გამორეკა ორივენი გარეთ. სერგეი სიცილით კვდებოდა, ზურა კი არ იყო სიცილის გუნებაზე.

აბა, რა იცოდა ზურამ კოვზების სისტემის არსებობა, რა იცოდა, რომ ვინც ჩააბარებს კოვზს, ის წესიერი და პატიოსანი მუშაა, და ვინც უკოვზოა — ის ქურდი, ავაზაკი და თაღლითია!

— შე ქურდო, შენა! — უწიოდა ზურას ყურებში, გული საშინლად უცემდა. სულ გაფითრდა ზურა. სერგეის ხუმრობა ძვირად დაუჯდა მას. ჯიბეში შენახული დანა, ეზოში რომ იპოვა დილას, თითქოს სხეულს უწვამდა.

— რომ ენახა ის დანა? ერთიც ვნახოთ, იმ ქალის ყოფილიყო... მაშინ...... ხომ მართლა ქურდი ვიქნებოდი?

ვერც ამოიღო, ვერც გადააგდო, ვერც გაუმჟღავნა თავისი მდგომარეობა სერგეის, რომელიც გულიანად ხარხარებდა და კმყოფილი იყო თავისი ხუმრობით.

— აბა რად გვინდა იმისი კოვზები! როგორ გაკაპასდა! — იცინოდა სერგეი.

**მარიჯან.**

# წიგნი და გაზაფხული

ამინდია, არ ჩანს ნისლი,
ცა კრიალით უმზერს მიწას,
ეს ქვეყანაც მზის ღიმილში
სახალისო ფიქრად იქცა.
გული ბადებს მრავალ სურვილს:
ველ-მინდვრები მინდა ვნახო,
ფეხშიშველმა გავირბინო
გაღვიძებულ ბაღის ახლო.
დაკვირვებით სოფლის სიღრმეს,
ბაბუს ეზოს მივსცე თვალი,
ან ფუტკარი როგორ მივა
ყვავილიდან სკაში მთვრალი.
მაგრამ საქმით ოთახში ვარ
და ტფილისის ზეცა მხურავს,
წიგნებს ვშლი, და მზემაც აგერ
ქვაფენილი გაახურა.
დაცხა უკვე. გაჩნდა ბუზი.
ნიავისთვის ფანჯრებს ვაღებ,
ქვევით მტკვარი ონავარი
მოაგორებს მღვრიე ტალღებს.
და მენავე, შავი ბიჭი,
რომ შრებოდა წელან მზეზე,
ბადეს შლის და წყლის სიღრმეში
მამაცურად იჭერს თევზებს.
ძნელი არის ამ დროს სწავლა,
მაგრამ აზრი უნდა ვკვებო
წიგნის სიტყვით, რომ შემდეგში
სოფლად ზაფხულს ექნეს გემო.

მექნეს ტემპი, მახლდეს ცოდნა,
სასახელოდ სკოლის ღვაწლი,
მაგალითად მღებულობდენ
პიონერად ჩასულ ყმაწვილს.
არ მაქვს მოცლა. მინდა ბრძოლით
წიგნის ფრონტზე წავდგა ბიჯი,
შრომის საქმეს მოვახმარო
ჩემი ძალა, ხმა და ნიჭი.
შევძლებ კიდეც. წინსვლა მჯერა,
მკვირცხლი ვარ, და არა ლეში,
ვიცი, მამა როგორ შრომობს,
მანქანებთან როგორ ხვნეშის.
და მეც, ყმაწვილს, სხვა გზა არ მაქვს,
შრომა უნდა შევიყვარო,
აზრის მქონე წიგნები და
დატვირთული წიგნის თარო.
ბეჯითობაც ახლა უნდა,
გადამწყვეტი ეს დრო არის,
შემდეგ ჯგუფში სწავლისათვის
რომ შევაღო მედგრად კარი.
და რომ იქაც ვიბეჯითო,
გავადიდო ცოდნის სივრცე,
სუსტ ამხანაგს დავეხმარო
და ძლიერებს მხარი მივსცე.
გაზაფხულდა. დაცხა უკვე.
ცა კრიალით უმზერს მიწას.
წიგნები და გაკვეთილი
შეტევების საქმედ იქცა.

**გიორგი კაჭახიძე.**



ყინულმჭრელ „სიბირიაკოვის“ ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოება შრომის წითელი დროშის ორდენებით.

## ნაროსსასსი ტაჯიკისტანის ექსპედიციიდან

(გაგრძელება)

**„ქვეყანა „ალაი“.**

29 ივნისს მივატოვეთ ქალაქი ოშ... 35 დატვირთული აქლემი, 45 დატვირთული ცხენი, 20 მხედარი (ექსპედიციის წევრი), 5 უზბეკი-მე... შა და 10 ყაშღარელი მექარავნე („ყარა-ყეშეში“) შეადგენენ ჩვენი ჯგუფის საექსპედიციო ქარავანს.

სამხრეთისაკენ მივემართებით. ჩვენი სვლიგეზი მიჰყვება ძველისძველ საქარავნო გზას, რომელიც დასავლეთ ჩინეთს ფერღანთან აკავშირებს.

ცხელა. მტვერი ღრუბლად გვე... ხვევა გარს. 8-9 დღის განმავლობაში თალდიყის და ყურშ-ობის ხეობებით ალაის ქედის თხემისაკენ მივემგზავრებით.

მოძრაობის ტემპი მეტად ნელია... დღეში გავდივართ 30—35 კილომეტრს. თანდათან მთებში ვიწყვდებით. აქაური მთები მწირია და კავკასიონის აზურმუხტებულ მაღლობს არ ემსგავსება. შიშველი კლდეები ჩვენი მოგზაურობის ერთადერთი მოწმენი არიან. ზიხარ უნაგირზე და ცხენთან ერთად ირწევი. ნაღვლიანი პეიზაჟი მოგბეზრდება, უნაგირზე წიგნს გადაშლი და კითხვას შეუდგები. მალე ნაბეჭდი ასოები ლეკურის ცეკვას დაიწყებენ, თავს ჩაქინდრავ და ხარ ნეიტრალურ მდგომარეობაში: არც გძინავს და არც გღვიძავს.

ალაის ქედთან მიახლოვებულნი, ხშირად ვხვდებით განსაკუთრებულ პატარა ნადირს მღრღნელთა ოჯახობიდან, რომელსაც უზბეკები „სლურ“-ს უწოდებენ. იგი მელასაც გაგონებს, მაჩვსაც, მიწაში ამოთხრილ ს... ოებში ბინადრობს. სლურებზე ნადირობა მრავალფეროვნება შემოაქვს ჩვენს მოგზაურობაში.

აგერ ზარების რეკითა და ტვირთების ბრახუნით მოდის ბამბით დატვირთული ქარავანი ჩინეთიდან. გამოზომილი რწევით მოირხევიან ორკუზიანი უზარმაზარი აქლემები. „ქარავან-ბაში“, ე. ი. ქარავნის უფროსი

ან მოჩაქჩაქებს ვირით, რომელზედაც ბმულია მთელი ქარავანი. თოკი ამაგრებულია აქლემთა ნესტოებში ყრილ ჩხირებზე, რის გამოც ზოგირთი აქლემის ნესტოები გასისხლიებულია. ქარავან-ბაში ხანდახან ჩაორჩება ქარავანს, და მაშინ ჰკვიან ირს დამოუკიდებლად მიჰყავს 30-40 რომადერი.

— ერთი... ორი... სამი...

ვინ დათვლის აქლემებს პამირის იდ საქარავნო გზაზე!

7 აგვისტოს ჩვენი ქარავანი ხვეილი გზით ავიდა თალდიყის უღელტეხილზე. სიმაღლე ზღვის დონიდან ქ 3545 მეტრს ეთანასწორება. თალდიყიდან ერთი დღის განმავლობაში ავიარეთ ალაის ქედის მოკლე სამრეთი ფერდობები და 8 აგვისტოს ლაის ველზე გავედით.

ყურშ-ობის დერეფანივით ვიწრო და სასაფლაოსავით სევდიანი ხეოის შემდეგ, ალაის ველზე უნებურად გრძნობ აღფრთოვანებას იმ ბარაიანად გაშლილ მიდამოთი, რომელიც ვხვდება აქ, 3000 მეტრის სიმაღლეე ზღვის დონიდან. ალაის ველის სიანე 30-40 კილომეტრს უდრის, სიგრძე კი 150-180 კმ. სამხრეთიდან ველს თელ მის სიგრძეზე დასცქერის მარადი თოვლითა და ციცაბო ყინვეით მორთული ტრანს-ალაის უზარმაზარი ქედი. შუაში ამართულია მთაკოლიათი, რომელიც ამხ. ლენინის საელს ატარებს. მეფის რეჟიმის დროს მას გენერალ კაუფმანის სახელი ერქვა, იმ კაუფმანის, რომელმაც იმპერიაისტური მთავრობის დავალებით მშრომელ აზიელთა სისხლით მორწყო შუა აზია. ლენინის მთის ამაყი მწვერვალი ზღვის დონედან 7129 მეტრის სიმაღლეს აღწევს, ე. ი. თითქმის 2100 მეტრით უფრო მაღალია, ვიდრე მყინვარწვერი და 1500 მეტრით მეტია იალბუზზე.

ალაის ველი ზაფხულობით მთლიან ვეებერთელა საძოვარს, ანუ „ჯაი-ლაუ“-ს წარმოადგენს. ალაის თვალგადაუწვდენელ სივრცეზე გაფანტულია საქონელი და ყირგიზების „იურტები“, ე. ი. გადასატან-გადმოსატანი ქოხები. სვავები, ქორები და არწივები დასტრიალებენ ალაის ველს გამჭრიახის თვალებით, საკბილოს ეძებენ და მზად არიან დაეშვან ძირს რომელიმე უძლური არსების ან ლეშის საგემებლად.

ყირღიზები მომთაბარე ხალხია. ზამთარს დაბლობებში, ანუ „ყიშლალებში“ ატარებენ, მაისში კი უკვე ტოვებენ ვაკეს და მთელი თავისი ოჯახობითა და საქონლით მთებში მიდიან. ცხენის, აქლემის, ძროხისა და ცხვრის გარდა, ყირღიზები აშენებენ აგრეთვე იაკებს. ესაა ცენტრალური აზიის დამახასიათებელი ცხოველი. პირველი შეხედვით ხარი გეგონებათ, მაგრამ ხარზე უფრო დიდია, უფრო მკვრივი, ბანჯგვლიანი და საყანწერქიანი. გარდა ამისა, იაკი თავისი ღირსებებით სჯობნის ხარს: მეტად ღონიერი და გამძლეა; არ ეშინია სიცივის, ქარის და ადიდებულ მდინარეში ფონს გასვლის, მოვლასა და კვებას არ მოითხოვს — საჭმელს თვითონ შოულობს ყველგან ზამთრობით: ღონიერი წინა ფეხებით თოვლს თხრის და დამჭკნარ ბალახს შეექცევა.

აი, ჩვენ მივუახლოვდით იურტების გროვას. ქარავანი გზას განაგრძობს, მხედრები კი მივათოხარიკებთ ცხენებს იურტებისკენ... ექსპედიციის მზარეული — ახოვანი უზბეკი მამაჯან რუზი ახუნი — თავისი წკრიალა ხმით ყვირის: „სალამ ალეიქუმ“ (გამარჯობა), და იურტებიდან გამოდიან ყირღიზები. „ჰაირან“ — ეუბნება მამაჯანი. ყირღიზები იურტებში ბრუნდებიან და ხის ჯამებით გამოაქვთ გამაგრილებელი და ნოყიერი „ჰაირანი“, ე. ი. შედედებული რძე. სწორედ მისწრებაა სიცხეში მგზავრისათვის!

მთელი დღე მივდივართ ველზე, მზის ჩასვლისას რომელიმე ნაკადულთან დავიბანაკებთ. იდგმება კარვები, ენთება კოცონი წიწვიანი ბუჩქებისაგან, და მამაჯანის საგზაო სამზარეულო თავისი მოვალეობის შესრულებას იწყებს. აგრილდება, და სიცხის მიერ გამოწვეული მოთენთილობაც გაივლის. გაშლილ ბრეზენტებზე „ვსადილ-ვახშმობთ“, ... რაკს ვთამაშობთ, ვბაასობთ, და შემდეგ კი, როდესაც ცეცხლი მისუსტდება და ცა ვარსკვლავებით მოიჭედება, გავნაწილდებით ჩვენს კარვებში... ჩაძვრები თუ არა საძილე ტომარში, მაშინვე კისერი მოგწყდება და დილამდე ფეხგაუნძრევლად გეძინება.

— ირიჟრაჟებს. კარვებიდან გამოვლაგდებით, ვისაუზმებთ და თვითეული თავის ცხენის შეკაზმვას დაიწყებს. ქარავანიც იტვირთება. გიჟმაჟი ყაშღარული და ყირღიზული ცხენები თაკილობენ უნაგირს, ტლინკავენ და ხშირად გაიქცევიან ხოლმე, მაგრამ საბოლოო ანგარიშში მაინც დამარცხებულნი გამოდიან. 9 საათზე ისევ ზარების რეკით გზას გავუდგებით.

სოფელ დარაუთთან ალაის ველი შევიწროვებას იწყებს. ყირღიზეთ მთავრდება — ჩვენ უკვე გადავაბიჯეთ საზღვარს, რომლის იქით თაჯიკისტანი იწყება. მდინარე ყიზილ-სუ, რომელიც აქამდე წყნარად მოდუღნებდა ალაის ველზე, ახლა ვიწრო კლდეკარში ემწყდევა და გაუხე... ვი რაშივით ფაფარაშლილი უზარმაზარ ლოდებზე...

ვიწრო ბილიკი უფსკრულზე გადახნექილი... მივყვებით ეგრეთ წოდებულ „ოვრინგებს“, ე. ი. ვიწრო კარნიზებს, სადაც ორი ცხენოსანი ერთმანეთს გზას ვერ აუქცევს ისე, ... ერთი მათგანი არ გადაიჩეხა. რომ თა... ვიდან ავიცილოთ ოვრინგზე ვინმე... თან შეხვედრა, წინასწარ გავაგზავ... ნით ხოლმე ერთ-ერთ მექარავნე... ოვრინგის იქითა ბოლოში, რათა ... იქ შეაჩეროს აქეთკენ მომავალი მგზავრები.

ოვრინგების შემდეგ... მაგრამ მკითხველის ყურადღება რომ არ მოვქანცოთ, უმჯობესია გადავდვათ ჩვენი ამბავის გაგრძელება ჟურნალის შემდეგი ნომრისათვის.

ლ. მარუაშ...

# …პარსეთის ბავშვები*)

…უბერნატორი მივიდა გიუმუშთა-… და მაშინვე ბრძანება გასცა — …ქმენები მოევროვებიათ დიდი სახლის ეზოში, რომელიც სა-…ხელისუფლების განკარგულე-…იყო.

…გუშინ მაცნობეს ტელეგრა-…მით, — თა გუბერნატორმა თურქ-…ის არიდან, — რომ აქაური სკო-…ან თუკი მოწაფე გაიქცა საბჭო-…კავშირში. რა გათახსირებაა! …დიდებული და ბრძენი შა-…ჰანშის კეთილდღეობაზე ზრუ-… მისი ბრძანებით თურქმენიის …ში გაიხსნა რამდენიმე სკოლა, …თქვენ შორისაც განათლებული …ი გამოერიდილიყო. ჩვენ მოვე-…ით, რომ დააფასებდით ჩვენი …ბული შაჰის მზრუნველობას. …ამ რა? თქვენი ყმაწვილები ისე-…ლურები აღმოჩნდენ, რომ მი-…ვეს სწავლა და გაიქცენ ბოლშე-…ებთან. ვინ არის ამაში დამნაშავე? …ვირველია, თვითონ მშობლები, …ლებიც საკმაოდ ვერ უხსნიან …თ შვილებს სწავლა-განათლე-…ს მნიშვნელობას.

…ბრძანებთ, დღესვე წადით საბჭო-…თა კავშირში და, რადაც უნდა და-…ჯდეს, ბავშვები უკანვე დააბრუ-…, მაგრამ წასვლით მხოლოდ დე-…დაკაცები წავლენ, მამაკაცებს ჩვენ …ვე დავაპატიმრებთ და არ გავა-…თავისუფლებთ მანამდე, სანამ ბავშვე-…ბი არ დაბრუნდებიან. გაფრთხი-…ლებთ, თუ რომელიმე ყმაწვილი არ …დაბრუნდება, სასტიკად დაისჯებიან …არა მარტო მისი მშობლები, არამედ …ი მისი ნათესაობა.

…თურქმენები ყრუდ ახმაურდნენ.

— რაღა ვქნათ, თუ ბავშვებმა აღარ …ისურვეს უკან დაბრუნება? ყმაწ-…ვილები მოზრდილებია, თვითეული …თოთხმეტი წლისაა, შეიძ-… …ათანხმდენ დაბრუნებაზე! … მათ ვერ წამოიყვან საბჭო-…ან, იქ სხვა ხელისუფლებაა, …თავისუფლება…

— გაჩუმდით! მე თქვენ გიჩვენებთ „თავისუფლებას“! — შეჰყვირა მათ მრისხანედ გუბერნატორმა. — უყურეთ, იმდენად გარყვნეს ბავშვები, რომ მათ დატოვეს სამშობლო და ავაზაკებთან გაიქცენ. დამაცადეთ, მე თქვენ გაჩვენებთ! მე თქვენ დაგავიწყებთ თავისუფლებას! ერთხელ კიდევ, უკანასკნელად, გაფრთხილებთ: თუ რომელიმე ბავშვი არ დაბრუნდება, მის მშობლებსა და ნათესავებს დავაპატიმრებ და გავგზავნი თეირანში, სადაც მათ გაასამართლებენ, როგორც დიდებული შაჰისა და სპარსეთის მტრებს. ხუთ დღეს გაძლევთ ვადას. გაქცეულები ხუთი დღის განმავლობაში აქ უნდა იყვნენ. დღესვე უნდა გაემგზავრონ. ახლა დაიშალეთ.

დაღონებული თურქმენები გამოვიდენ ეზოდან. გაქცეული ბავშვების მშობლები დააპატიმრეს ჯარისკაცებმა და საპატიმროში მოათავსეს. დაპატიმრებულთა კარვებიდან მოისმოდა ბავშვებისა და დედაკაცების ქვითინი.

საღამოს კი მტირალი დედებით დატვირთული რამდენიმე ურემი უკვე მიემართებოდა საბჭოთა საზღვრისაკენ.

ზღვიდან ცივი ქარი ქროდა, თან წვრილი წვიმა მოდიოდა. ცხენები მძიმედ წევდენ ქალებით დატვირთულ ურემს. თვლები ტალახში მიგორავდა. გრძელი და ნაღვლიანი იყო გზა.

მეორე დღეს თურქმენი ქალები უკვე საბჭოთა მხარეში იყვნენ, ... სოფ. გასან-კულიში, რომელიც კასპიის ზღვის ნაპირას მდებარეობს. ბავშვები დიდ ქვის შენობაში შეხვდნენ, აქ იყვნენ ადგილობრივი თურქმენები და მათი ბავშვები, რომლებიც გამოქცეულებს კარგი სადილით გაუმასპინძლდენ.

ბავშვებს გაეხარდათ დედების ნახვა.

— დედა! — შეჰკივლა ერთმა. — შენც გადაწყვიტე საბჭოთა მხარეში გადმოხვიდე? რა კარგია! ჩვენ უკვე ნამდვილ თურქმენულ სკოლაში გვლებულობენ.

დედაკაცები ატირდენ.

— ვაი ჩვენ, უბედურებს! ეს რა გვიყავით, ძვირფასო ბავშვებო? დაგვტოვეთ და გაიქეცით უცხო ქვეყანაში, დაივიწყეთ თქვენი ღარიბი მშობლები…

— თქვენც აქ დარჩით, — ერთხმად შეჰკივლეს ბავშვებმა, აქ კარგია, აქ საბჭოთა ხელისუფლებაა, აქ არავინ არ გვცემს, სკოლაში თურქმენულ ენაზე გვასწავლიან. აქ… ყველაფერია! ჩვენ უკან არ დავბრუნდებით. დე, ჩვენი მამებიც გადმოვიდენ აქ.

დედები უფრო ატირდენ.

— მამები ველარ მოვლენ აქ. ისინი ყველანი დააპატიმრეს. სპარსელები გვემუქრებიან, თუ ბავშვებს არ დააბრუნებთ, მშობლებსა და მთელ ნათესავებს თეირანში წავიყვანთ და გავასამართლებთო. ამას გარდა, დაგვაქცევენ, წაგვართმევენ მიწას, ნავებს, სახლსა და მთელ ქონებას.



…№ 2.

შეშინებულმა ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს. ეცოდებოდათ მტირალი დედებიც და დაპატიმრებული მამებიც. მაგრამ ძნელი იყო მოგონება სპარსული სკოლის, ცემა-ტყეპის, მასწავლებლების, ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა.

დიდხანს ტიროდენ საბრალო დედაკაცები და ემუდარებოდენ ბავშვებს, რომ დაბრუნებულიყვნენ უკან.

ველარ გაუძლეს ბავშვებმა მშობლების მწუხარებას, ატირდენ და... დათანხმდენ.

გაქცეული ყმაწვილები სამი დღის შემდეგ დაბრუნდენ სამშობლო სოფელში. მათ ქოხებთან მრავალი ადგილობრივი ყმაწვილი მოგროვდა. ისინი დაბრუნებულთ მრავალ სხვადასხვა შეკითხვას აძლევდენ. ყმაწვილებიც დაუზარებლად მოუთხრობდენ მათ, თუ როგორ თავისუფლად ცხოვრობენ და სწავლობენ თურქმენები საბჭოთა ქვეყანაში.

მაგრამ აი მოვიდა ჯარისკაცი. იგი ყმაწვილებს გუბერნატორთან იბარებდა.

ორსართულიან სახლის დიდ ოთახში, სადაც მოთავსებული იყო სამხედრო სამმართველო, ისხდენ ოფიცრები, მასწავლებლები და რამდენიმე მდიდარი თურქმენი. ჯარისკაცებს შემოქონდათ ამათთვის სურნელოვანი ჩაი, ნამცხვარი და ვარდის მურაბა.

გუბერნატორის კაბინეტში ყმაწვილები შეიყვანეს სპარსული ადათის მიხედვით. ბავშვებმა დაბლა დახარეს თავი და, შემდეგ, ჯარისკაცებივით ჩამწკრივდენ.

— რად გაიქეცით, რამ გაიძულათ?

— მასწავლებლებმა, — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა.

ყველამ გაკვირვებითგადაჰხედა ერთმანეთს.

— დიაღ, — განაგრძო ერთმა ყმაწვილმა, — მასწავლებლებმა გვაიძულეს დაგვეტოვებია მშობლები და გავქცეულიყავით. მასწავლებელნი უცხონი არიან ჩვენთვის. ისინი გვასწავლიან უცხო ენაზე, რაც ჩვენ სრულიად არ გვესმის. გვეპყრობიან, როგორც ჯოგს, ძაღლს არ სცემენ ისე, როგორც ჩვენ მასწავლებლები გვცემენ. თქვენი ოფიცრები ისე გვეპყრობიან, როგორც ნამდვილ პარსელ ჯარისკაცს, და ბოლოს, რა უნდა ვისწავლოთ ჩვენ?



თვითმფრინავის მოტორის ამუშავება ავიატორი მოწაფე ქალის მიერ.

ვისწავლით სპარსულს, მაგრამ ჩვენი ენა კი არ გვეცოდინება. ვისწავლით სამხედრო ვარჯიშობას, მაგრამ არ გვეცოდინება ბამბის მოვლა-მოყვანა, ავადმყოფის მკურნალობა, მანქანების გამოყენება და სხვა, და ჩვენც ისეთივე გონებაბნელი გამოვალთ, როგორც ახლანდელი თურქმენები. ჩვენ გამოსადეგი ვიქნებით მხოლოდ სპარსულ ჯარისკაცებად.

— ოჰო, — გაიკვირა პოლკოვნიკმა, — შენ ისე ლაპარაკობ, როგორც ნამდვილი ბოლშევიკი, ვინ არის მამაშენი და რა გქვია შენ?

— ჩემი სახელია ბაირამ დურდი. მამა ჩემი მეზღვაურია, თევზს იჭერს.

— ვინ გასწავლა შენ, ბაირამ დურდი, ამგვარი ლაპარკი?

— ასე ლაპარაკობს ჩვენი სკოლის ყოველი მოწაფე.

— მართალია, — ამოოხვრით დაადასტურა ერთმა მასწავლებელმა, — ყველანი ასე ლაპარაკობენ ეს გაიძვერები.

— ძაღლის ლეკვებო! უმადურო ჯოგო! — მიმართა ჰათ მრისხანედ გუბერნატორმა — დიდებული შაჰი თქვენზე ზრუნავს, სურს თქვენგან სპარსეთისათვის სასარგებლო ხალხი გამოვიდეს, თქვენ კი ამით კმაყოფილი არ ხართ? ბოლშევიკებთანაც მირბიხართ! გესმით თუ არა, აღიარებთ თუ არა, რომ თქვენ მეამბოხეები ხართ?

— არა, ჩვენ მეამბოხეები არა ვართ, — თამამად უარყო ბრალდება ბაირამ დურდიმ, — ჩვენ თურქმენი ბავშვე[ბი] ვართ და გვინდა ჩვენი ხალხისათვ[ის] სასარგებლო ადამიანები გამოვიდე[თ]. იქ, საბჭოთა ქვეყანაში, ჩვენ ვნახე[თ] თუ როგორ სწავლობენ ჩვენსავი[თ] პატარა თურქმენები, რომ გახდენ ექ[იმ]ები, ინჟენრები, აგრონომები. სწავლობენ სამშობლო ენაზე. აი ისი[ნი] მართლაც გამოვლენ სასარგებლო მ[ო]ქალაქეები თავიანთი ხალხისათვის.

— გაჩუმდი! — შეჰყვირა გუბერნ[ა]ტორმა, — დაიკარგეთ აქედან.

შეშინებული ბავშვები სირბილი[თ] გამოვარდენ ოთახიდან. თურქმენებ[მა] გაიგეს ბაირამ დურდის თამამი პასუ[ხი] გუბერნატორის მიმართ და თავი გაა[ქ]ნიეს.

— კარგი ბავშვები იზრდებიან ჩვე[ნ]ში, — ჩურჩულებდენ ისინი ერთმანე[თ]შორის.

მაგრამ ბაირამ დურდის მშობლ[ე]ბი კი ძალიან შეშინდენ.

— შენი ამგვარი თავხედური პასუ[]ხისთვის დაგვსჯის პოლკოვნიკი.

ბაირამ დურდის დედა თმას იწ[ე]წავდა და ტიროდა სასჯელის მოლო[]დინში.

ბავშვი ცდილობდა დაემშვიდებ[ინა] დედა. მაგრამ, როცა ვერას გახდ[ა], მან ველარ მოითმინა და თქვა:

— შემდეგ უექველად ისევ გავიქცევ[ით] საბჭოთა თურქმენიაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

თარგმანი **ნ. დაფნარელი**[ს]

# პატარა გმირის სისხლი

აი ბერლინის გული,
ქარი ღრიალით დაძრწის,
[illegible]ფევს შიმშილი კრული,
ტირის საბრალო ბავშვი.
დიდ უზარმაზარ კედელს
უცქერს ცრემლიან სახით
და აგონდება იმას
დაღუპულ მამის სახლი.
მას აგონდება ვილი,
ძმა, მეგობარი კარგი,
ტანჯვაში გამოზრდილი
მონა, უმწეო ზანგი,
და იგი გაჰყვა ქუჩებს
გამტერებული ცქერით.
მოუახლოვდა კაფეს
მისუსტებული მზერით.
უცქერს ტკბილეულ საჭმელს
და ღიმი მოსდის პირზე,
მაგრამ მწყრომარე სახემ
მას შეუბღვირა: „მიდექ!“
ის იყო სენატორი,
ფაშისტი შავრაზმელი,
ის ბრუნდებოდა მთვრალი,
მშრომელი ხალხის მკვლელი.
ხელში ეჭირა პარკი,
ტკბილეულობით სავსე,
და მომცინარი სახით
მიღიღინებდა გზაზე.
მისუსტებული ბავშვის
ძგერდა პატარა გული.
— არა მაქვს, ძია, სახლი,
მშია, მომეცი პური.
— ხა-ხა-ხა-ხა, გშია?
მუშის შვილი ხარ, ალბათ.
თქვენი პურია ტყვია
და პოლიციის ტალღა!
ბავშვი შეჩერდა, უცქერს,
ხელი კანკალებს და თრთის,
ფაშისტი „ძია“ მთვრალი
ტკბილ ოცნებაში დაქრის.
ბავშვი ტკბილეულს ეცა,
მივარდა ხარბად, ცეტად,
„ძიას“ აემღვრა გული:
გაცეცხლდა მეტის მეტად
როგორ გაბედა ან კი!
პატარა გოგო ქნეშით,
გამგელებული ჭამდა,
და ანთებული სახით
დამშეულ ველურს ჰგავდა.
არ ეშინოდა „ძიის“,
არც მის თვალების მზერის,
თითქოს ლხინობდა კიდეც,
რომ დაამარცხა მტერი.
ფაშისტი იდგა ჩუმად,
პაწა ნაგანით ხელში,
და უმიზნებდა გოგოს
ტყვიას ცქრიალა მკერდში.
ქარი ღრიალით დაძრწის,
და სისხლს გაყინულს იშრობს,
მოჰკლეს პაწია ბავშვი,
მშრომელ პრუსიის პირმშო.
ისევ ბერლინის ქუჩა,
ტყვია-წამლების ნისლით,
შუა ქუჩებში მოჩანს
პატარა გმირის სისხლი.
ის შეიჭრება ყველგან
და დაანახვებს ბერლინს,
რომ გერმანიის ხალხი
გულით ატარებს ლენინს.

**ავთანდილ კაშმაძე.**

# პ ა რ ი ზ ი

დიდი და მომხიბლავია პარიზი — ბურჟუაზიული კულტურისა და ყოყოჩობის ბუდე, ბევრია იქ ღირსშესანიშნავი ადგილი, ამ დიდ ქალაქში, სადაც კომუნისტები ¿მირულად ეწირებოდენ მშრომელთა კეთილდღეობის საქმეს და, სადაც ამჟამად ყოველდღიურად და ყოველ საათობით ეწირება ბურჟუაზიის ფუფუნებას პროლეტარიატის ძალა და ღონე, მთელი არსება.

ბურჟუაზიამ იცის ოინები, და პარიზია ამის უტყუარი მოწმე. აქ ზოგიერთ ქუჩას, მართალია, განაპირა რაიონებში, მუშათა ბელადების სახელი ჰქვია, აქ დიდი ამბით ზეიმობენ პარიზის კომუნის დღეს, აქ ტრიუმფალურ არკასთან დამარხულია იმპერიალისტური ომის დროს ფრონტზე მოკლული ვიღაც ჯარისკაცი, რომლის საფლავზე მუდმივი ცეცხლი ანთია... მაგრამ უფრო მძლავრი ცეცხლი, კლასობრივი ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებს ცხოვრების ძირების — პროლეტარიატის — გულში, და ვერ დაახვევს თავბრუს ბურჟუაზიული ქალაქის მომხიბლაობა იმათ, ვისი დღეც ლუკმაპურის ძებნაში გადის, ისე როგორც არაფრად უღირს იმპერიალისტურ ომში მკლავმოჭრილ ინვალიდს, ქალაქის განაპირას ცალი ხელით რომ ქსოვს კალათებს დღიური ლუკმის საშოვნელად, ის მუდმივი ცეცხლი, ვიღაც უცნობი ჯარისკაცის საფლავზე რომ ანთია... აქ პოლიცია ფხიზლობს ყოველთვის, რომ ინვალიდები ქალაქის ცენტრში არსად გამოჩნდენ, რომ გუნება არ წაუხდეთ ფუფუნების ტალღებზე მოქანავე ბურჟუებს.

რას წარმოადგენს პირიზი?

აი კოშკი, მსოფლიოში ცნობილი ე ი ფ ე ლ ი ს  კ ო შ კ ი, რომლის სიმაღლე ¼ კილომეტრზე მეტია. 1752 საფეხური უნდა აიაროთ, რომ ახვიდეთ ამ კოშკზე და იქიდან გადმოხედოთ თვალწარმტაც პარიზს. მაგრამ განა ყველა შეძლებს ფეხით იქ ასვლას! არა, რომელიმე ჩასუქებული ბურჟუა, რომლის თითებზე ელავს ფასდაუდებელი ძვირფასი თვლები, თავს ვერ შეიწუხებს ამით, და მზად არის ორი ლიფტი,. რომ ნაზი სრიალით წაიღეს ზევით - ზევით და აიყვანოს ორასი კაცი (თითოში 100 კაცი ეტევა, თითოეული მათგანი ორსართულიანია). ამ კოშკზე მოწყობილია უძლიერესი საზღვაო პროჟექტორი... გაკვირვებული მკითხველი, რომელიც იცნობს გეოგრაფიას, იკითხავს: „კი, მაგრამ სად პარიზი, და სად ზღვა, განა რომელი გემებისათვის უნდათ ეს შუქურა?“ ნუ შეშინდებით, ნურც იფიქრებთ, თითქოს თქვენ შეცდით და პარიზი ზღვის პირას არის — არა, იქ გემები არის, მაგრამ... დე, ანათოს ამ უძლავრესმა შუქურამ, ანათოს უმიზნოდ, ასე სურს განებივრებულ ბურჟუას.

ამავე კოშკზეა მეტეოროლოგიური სადგური, მაგრამ მას კი პრაქტიკული დანიშნულება აქვს: აქ იკვლევენ — რამდენად მძლავრია ქარი ამ

სიმაღლეზე, და ამას სახეში იღებენ მაღალ შენობათა აგების დროს.

აბა, რა უნდა იყოს კიდევ ამ კოშკზე? რასაკვირველია, რადიოსადგური! ასეთი ანძა ანტენისათვის არც ერთ რადიოსადგურს არა აქვს არსად.

პროჟექტორს, რადიოსადგურს, მეტეოროლოგიურ სადგურს, ამ კოშკის სიმაღლე სჭირდება მხოლოდ, მისი სხეული კი კაპიტალისტმა სიტროენმა გამოიყენა, რომელმაც აქ მოაწყო გრანდიოზული რეკლამა. სამასმეტრიანი კოშკი პარიზის ყოველი კუთხიდან სჩანს, და ღამ-ღამობით პარიზს თავს დანათის სიტროენის რეკლამა. კოშკის კონტურებს თეთრი პუნქტირი აქვს შემოვლებული, მწვერვალებზე კი მუქი წითელი ალი ელვარებს, და მაშინ ეიფელის კოშკი ჩირაღდანს ჰგავს. ეს პირველი სანახაობაა. ცოტა ხნის შემდეგ მეორე: პარიზის თავზე, ბნელ ცაზე, უცებ აინთება ბრჭყვიალა ვარსკვლავები. შემდეგ: ნაირ-ნაირი რეკლამა, წარწერა... თითო ასოს სიდიდე - 10 - 20 მეტრი! და ტკბებიან პარიზელები ამ სანახაობით, მაგრამ არა ყველა: პარიზელ მუშას ეს ვერ უტკბობს კუჭს და მხოლოდ ანერვიულებს...

პარიზის ქუჩები ძალზე მიმზიდველია. აი ელისეს მინდვრების პროსპექტი, რომლის მზგავსი ქუჩა არსად არ არის მსოფლიოში. მარტო ეს პროსპექტიც კი საკმაო იქნებოდა, რომ პარიზი ყველაზე შესანიშნავ ქალაქად გამხდარიყო მსოფლიოში, მაგრამ განა პარიზს მარტო იმით შეუძლია ამაყობა! აქ, ამ პროსპექტზე ათასობით მიქრი-მოქრის ავტომობილები საშინელ სისწრაფით, ირგვლივ ისეთი ხმაურობაა, რომ კაცს აყრუებს, მაგრამ არის ადგილები, სადაც ელექტრონზარი უცებ იწყებს რეკას და წვრილ ანძაზე აინთება სემაფორის წითელი ასოები „ალტ" („გაჩერდი"). პოლიციელი ხელს აწევს, და ავტომობილების ნიაღვარი ერთბაშად ჩერდება ამ დროს შეუძლია ქვეით ხალხს ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლა. და შემდეგ კვლავ ეძლევათ ავტომობილებს გაქროლვის უფლება.

საფრანგეთის ბურჟუაზიის სამშობლოა პარიზი — ბურჟუაზიული მსოფლიოს კულტურული დედაქალაქი. პარიზის ბულვარებში ფრანგებს, რომელნიც ცნობილი არიან სმა-ჭამის სიყვარულით, შეუძლიათ სავსებით დააკმაყოფილონ თავისი განებივრებული გემოვნება. ეს ბულვარებია აგრეთვე პარიზის ცნობილი გარყვნილების ბუდე, გარყვნილების, რომელიც კაპიტალისტური სისტემის უსაშინელეს ქმნილებას წარმოადგენს.

შეხედეთ პარიზს და იგრძნობთ მის სოციალურ სახეს. დასავლეთით გადაჭიმულია ქალაქის ბურჟუაზიული ნაწილი, რომლის შუაგულშია ე. წ. ვარსკვლავების მოედანი, საიდანაც თორმეტ თვალმომჭრელ სხივად იშლება თორმეტი პროსპექტი. აქ არის ბურჟუაზიის სახლები — უზარმაზარი მომხიბლავი შენობები, სადაც აუარებელი მსახური თავს დასტრიალებს თითო ბურჟუაზიულ ოჯახს მაგრამ ბურჟუები ამ სახლებში ძალიან იშვიათად ცხოვრობენ. ისინი ხან კეკლუც ნიცაში არიან, რომელსაც მიხაკის ბოსტნები და ყვავილები აკრავს ირგვლივ, ხან ბიარიცში, — ევროპის ყველაზე უფრო ძვირ და შესანიშნავ კურორტზე, — სადაც ბისკაის ყურის მძინვარე ტალღა ადამიანის სიმაღლეზე ისვრის სადაფის ქაფს, ხან შვეიცარიის მაღალ სან-მორიცში, სადაც საზამთრო

სპორტია მეტად განვითარებ
ხან წყნარი ოკეანის ...
დაც ისე ცხოვრ...
ლია სამხრეთის ხილი და მრავალ
დაბეჩავებული-დაჩაგრული ადგი
რივი მკვიდრნი.

პარიზი სავსეა ავტომობილ
აი დიდი სასახლე ელისეს მინდ
ზე. ის შიგნი სულ ცარიელ
ესაა ერთი უზარმაზარი დარბაზ
დაც ეწყობა სხვადასხვა გამო
სხვათა შორის, ავტომობილები
მოფენაც. რანაირი ავტომობილი
დათ, რომ აქ არ იყოს, რო
ფირმის სახელწოდება გინდათ,
აქ არ იყოს თეთრ ქსოვილზე
ამოქარგული.

აი ვანდომის მოედანი ნაპო
ნის ძეგლით; აქ აუარებელი საპა
მერიო მაღაზიაა, და ჰაერი ნაი
ირი ნაზი სურნელებით არის გა
თილი, მაგრამ ყველა რაიონშ
არ არის ასე, სხვაგან პარიზსაც
გორც ევროპის სხვა ქალაქებს,
დი სუნი ასდის.

ადამიანთა საცხოვრებელი
ლების ცუდი სუნი ექსპლოატ
წესწყობილებასთანაა უშუალოდ
კავშირებული. სოციალიზმი მო
ცუდ სუნს ბინებში, მაშინ აღარ
ბიან ექსპლოატატორები, რომე
უსაქმურობისა და სიზარმაცის
რწნილებისა და გადაგვარების
ასდით. მაშინ აღარ იქ



დე-შანტიეს საპყრობილე, სადაც იყვნენ დამწყვდეულნი პარიზის კომ
მონაწილე ქალები.

...ექსპლოატირებულებიც, რომელთათვისაც ხახვი და ნიორი საკვებს წარმოადგენს, და არა საჭმელის საქმაზს და რომელთაც ოფლი სდით მეტის-მეტი სისუსტითა და დაქანცვისაგან.

პარიზის ჩრდილოეთ მხარეს არის ე. წ. მაკდონალდის ბულვარი. მის მახლობლადაა გაზის გრანდიოზული ქარხანა, ამ ქარხნის გვერდით კი — გაზომეტრები. თუ კი რომელიმე შენობას დედამიწის ზურგზე შეუძლია გააკვირვოს ადამიანი, უპირველეს ყოვლისა ეს გაზომეტრი იქნება. გაზომეტრი საწყობია, ამ საწყობში მე... უცნაური პროდუქტი „აწყვია": ...სია გაზი. ის არც ბალონებშია, არც ...ზვა რამე ჭურჭელში, პირდაპირ შე...ის გაზომეტრში ქარხნიდან. საოცა...ია ეს შენობა: მას არა აქვს გარკვეული სიმაღლე — ის ხან მაღალია, ხან დაბალი, ხან წელში გასწორდე..., „წამოდგება" რაღაც უცნაურ ...ხოველივით, ხან „ჩაჯდება". როდესაც გაივსება გაზით — ის წამოდგება, და მაშინ ახლომახლო მდებარე სახლებზე მაღალია, ხოლო როდესაც ქალაქი ხარჯავს გაზს — ის დაბლდება, „ჩაჯდება" და უზარმაზარ ...ვდარ რკინის კუსავით გაინართხება მიწაზე. ასეთი გაზომეტრი აქ ოც... მეტია, მათ შორის არის ქუჩები, სადაც თვითეული სახლი ხან დამჯდარია, ხან ამდგარი.

აი მონმარტის გორა. აქ იბრძოდენ კომუნარები, აქ კვდებოდა საფრანგეთის დიადი კომუნა, — მიამიტი, კლასობრივ ბრძოლაში გამოუცდელი, რომელმაც არ იცოდა არც თავდაცვა და არც თავდასხმა, — კვდებოდა გმირულად და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატსა და ჩაგრულებს უტოვებდა ბრძოლის, გამბედაობის, პროლეტარული გმირობის გასაოცარ გამოცდილებას. ახლა კი მონმარტის რაიონი ბურჟუაზიული პარიზის საუკეთესო გასართობი ადგილია.

აი ლათინური უბანი. აქ ვიწრო ქუჩები და ხუთსართულიანი სახლებია, რის გამოც ამ ქუჩებში სულ ჩრდილია გაწოლილი დღისით, ღამით კი ჩრდილშია ზემო სართულები, ქუჩები კი გაზითაა განათებული.

აი ექვსსართულიანი შენობა — ეს გარაჟია, რომელშიც „ღამეს ათევს" 1.500 ავტომობილი. აქ ხვეულ კიბესავით არის მოწყობილი ავტომობილების ასასვლელი, და ავტო არბის ამ „კიბეზე", რომ რომელიმე სართულში „გამოიძინოს". თუ ავტოს დაეზარება არბენა, მას ლიფტი აიტანს, რომელ სართულზეც სურს.

ლათინური კვარტალის სამხრეთით იწყება ღატაკი რაიონი, ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩებით, სადაც „აუარებელი იაფფასიანი სამიკიტნოა ე. წ. „ბისტრო", სადაც ღვინო მინერალურ წყალზე უფრო იაფია და სავსეა მუშებით, შოფერებით, [illegible]ბებით, უმუშევრებით...

მდიდარი პარიზის განაპირას, სადაც მეტად ცუდი სახლებია, ზოგიერთ მშრომელს არა აქვს საშუალება თუნდაც უვარგისი ბინა იქირაოს, და თქვენ შეხვდებით მუშის ოჯახს, დამტვრეულ, ნაპირზე დადგმულ ბარჟაში ჩაბინავებულს.

პარიზში, სადაც აკეთებენ ე. წ. გობელენებს — ხალიჩებს, რომლების წარმოება მე-16 საუკუნეში დაიწყო საფრანგეთში, მეტის-მეტად ძვირია; გობელენი — 20-60 ათას ოქროს მანეთად ფასობს და არც გასაკვირია: მთელი წლის განმავლობაში მუშა ქსოვს... მხოლოდ ერთ კვადრატულ მეტრ ხალიჩას!

პარიზელების ცხოვრება უმთავრესად ქუჩაში მიდის. თვითონ ტერმინი „ქუჩური ცხოვრება" მხოლოდ პარიზში თუ წარმოიშვებოდა. აქ ბულვარებში სიცოცხლე დუღს, აქ იციან პირის გემო.

დღესასწაულების ჩატარება ძალზე ემარჯვებათ პარიზელებს, რომლებსაც ძულთ რევოლუცია, მაგრამ ზეიმობენ დიდ რევოლუციას, ბასტილიის აღებას — 14 ივლისს. დილიდან საღამომდე სიმღერა, ორკესტრი, ფოქსტროტი, ფეიერვერკები, ილუმინაცია... ამ ზეიმში ფოქსტროტის ხმებში ხანდახან გაისმის „ინტერნაციონალი" და გაისმის სიტყვები:

„აბა ცოცხლად, აბა მარდად,
„ფარნებზე ჩამოვკიდოთ ბურჟუები ჩვენ"...

მაგრამ პოლიციელები იმ წამსვე იქ დაიბადებიან, და შეწყდება სიმღერა, გააქანებენ მომღერალს.

პროლეტარულ რევოლუციას მეტად ფართო გასაქანი ექნება პარიზის ვარსკვლავისებურ მოედნებზე და ფართო, მომხიბლავ ქუჩებში.

შ. თ—ლი.



კომუნისტების ცემა პერ-ლა-შეს სასაფლაოზე.

# ერთი დღე ებრაელ პიონერებთან

(შთაბეჭდილება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ძეგლის — სურამის ციხის — გარშემო დასახლებული არიან მშრომელი ებრაელები. მრავალი წლის განმავლობაში დაბეჩავებული, დაჩაგრული და ყველა ეროვნებისათვის „საშიში ურიები“ (ასე ეძახოდენ და ეძახიან ზოგიერთები ებრაელებს დღეს) მხარში უდგანან სოციალიზმის მშენებლებს და ზიდავენ ჩვენი ქვეყნის ზრდა-განვითარების აგურებს.

იქ, სადაც ოდესღაც არემარეს აყრუებდა საყდრის ზარი, დღეს ტრიალებს „ოზეტ“-ის სახელობის ებრაელთა კოლმეურნეობის დროშა.

დილის 10 საათია.

ამხანაგებთან საუბრის დროს გავიგე სასიამოვნო ამბავი: „ჩვენს თემში ყველაზე კარგათ ებრაელთა ნ/პ რაზმი მუშაობს“. ამ ამბის დასადასტურებლად გავსწიე ებრაელთა ნ/პ რაზმის დარბაზისაკენ.

დარბაზში ვარ...

გარშემო თვალს მიპყრობენ სხვადასხვა ლოზუნგი, პლაკატები და ბელადის -- ლენინის — კუთხის მორთულობა.

აქვეა გაკრული კედლის გაზეთი „დამკვრელი რაზმი“ (ნ/პ რაზმის ორგანო) და „ნორჩი კალამი“ (ოქტომბრელთა ჯგუფის ორგანო), რომელშიაც ფართოდაა გაშუქებული. ნ/პ. რაზმის მონაწილეობა მიმდინარე სას.-სამ. კამპანიებში.

„ჩვენმა რაზმა მოაწყო შაბათობა „ოზეტის“ სახ. კოლმეურნეობაში, სადაც მოტეხილ იქნა სიმინდი 3 ჰექტარზე და გადარჩეულ იქნა სიმინდი 150 ფუთის რაოდენობით“ — მეუბნება ებრაელი პიონერი ფედიელი ჯანაშვილი. ვუკვირდები ებრაელ პიონერებს და ვხედავ, რომ თვითეულ მათგანში აღბეჭდილია საუკუნოებით დაგროვილი ენერგია, რომლის თავისუფლად გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების დროს შეძლეს.

— რა გააკეთეთ ყოფა-ცხოვრების საქმეში? — ვსვამ კითხვას.

„ჩვენს ებრაელ ახალგაზრდობაში ძალიან ჰქონდა ფეხი მოკიდებული“ „კოჰაობას“ და „ფულაობას“ — მთელი ძალღონე დავჰიმეთ ამ ნაკლის გამოსწორებისათვის. თითქმის მიზანს მივაღწიეთ, მაგრამ მთლიანად ჯერჯერობით ვერა“ — მიპასუხებს პიონერ რაზმის ხემძღვანელის თანაშემწე შიმყონ ჯანაშვილი.

საუბარი პიონერებთან საღამოს 4 საათამდე გაგრძელდა; აღნიშნავდ კოლექტივის მიღწევებს საყოველთ სწავლების გატარების საქმეში და მ დებას საგაზაფხულო თესვისათვი პიონერებთან საუბრის დროს გამ ირკვა აგრეთვე, რომ სტალინის პ/ბიურო კოლექტივს არ უწ საკმაო მოქნილ ოპერატიულ ხე მძღვანელობას.

„ამ საღამოს ჩვენი რაზმი საღამ მართავს, გთხოვთ დაესწროთ!“ მომმართეს პიონერებმა.

გამოვსწიე სახლისაკენ და თვალწ ებრაელ პიონერთა აღფრთოვანებუ თვალები არ მშორდებოდა.

პიონერთა საღამოს მრავალი ხალ დაესწრო. ეტყობოდა, რომ ებრა პიონერთა რაზმს კარგი ავტორიტ ტი ჰქონდა მოპოებული ადგილობრ მოსახლეობაში.

საღამო წარმატებით ჩატარდა.

ინტერნაციონალის გუგუნში მძლ რად მესმოდა ებრაელ პიონერ ძახილი:

— სოციალიზმის მშენებლობ წარმატებით დამთავრებისათვის.

ევე მუყადა [1]).

მუყად ოვე [2]).

**რ. დავთიანი.**

# ჩაის გმირი

## ნაწილი მეორე

### 1. ჩაის ქარხანა

სამმა წელმა ხალისით
ჩაიქროლა ქარულად,
ახლაც ბაღში მაისი
შეპარულა ფარულად.
და მწვანეზე ფერადი
მოუფანტავს ვარდები,
ზღვიდან მაღალ სერამდე
დაუმარხავს დარდები.
ჩაქვიც ეშხით ივსება
შორი შარიშურითა,
შრომა შვებად ილლება
სიზარმაცე — შურითა.
სურნელება ცად ადის,
ცა კი უცნაურია,
ყველგან დიტოს ხმა დადის,
თითქოს მეთაურია.
მაგრამ მის გულს მხიარულს
სხვა დარდი სდევს ამხანად,
მოუხშირა სიარულს
იქ, სად ჩაის ქარხანა
მაღლობს, ბაღად ნაშენებს,
გადმოყურებს ამაყად
მზე გვირგვინად ამშვენებს,
მთვარე — ოქროს ვარაყად...
და სურს სცადოს ძალღონე
ჩაის დამზადებაში,
საყვირის ხმის გამგონე,
წამით ველარ დგება შინ.

### 2. ჩაის ფოთლის ჭკნობა

დიტო ქარხანაშია,
შვენის თეთრი ხალათი.
აქ ხშირ მიმოსვლაშია
ფოთლით სავსე კალათი.
აგერ ზედა სართული
ორმხრივ ფართე შუშებით,
სიგრძეზე გამართული,
მხიარული მუშებით.
მშრალი, სუფთა,
ნათელი.

[1]) ებრაულია, ნიშნავს „იყავ მზად“.
[2]) „ „ „მზად ვართ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



...-4 კომფლექტის საფეიქრო ცეხის საუკეთესო აქტივისტი დამკვრელი ამხ. ვადაჭკორია

მუდამ მზით და ქარებით,
დახლართული, ნათელი,
ართოიან კარვებით.
ხივი დაფრენს ქალების
კაბის ფერთა სხვაობას,
ვეღარ უსწრებს თვალები
ხელთა ჩქარ მოძრაობას...
და იშლება თაროზე,
მეჩხერ ფენად დუყები,
რომ დაჭკნეს თავის დროზე,
ნესტით ანაფუყები.

## 3. ფოთლის გრეხა და მწვანე დახარისხება

მზე კრთის ფანჯრის მინაზე,
ქვეშ მჭკნარ ფოთლის გუნდები.
დახლართულა რკინაზე
მტკიცე ღვედის ხუნდები...
და ზარბაცით როლერი
აქეთ-იქით იხრება,
ფოთოლს ეცვალა ფერი,
ფოთოლი იგრიხება.
დაიგრისა.
ეს წყება
დაცალეს, კვლავ ივსება,
გრეხვის შემდეგ იწყება
მწვანე დახარისხება.
აგერ—წამოქცეული
ცილინდრული საცერი,
ელვენით შერხეული
და ოდნავ ალმაცერი.
ბრუნავს ნელა.
მასალა
წვიმის თქეშად აქცია
და სამ ყუთში ჩაცალა
ჩაის სამი ფრაქცია

## 4. ჩაის ფერმენტაცია (დუღილი)

ეს პროცესი სხვა პროცესს
არ ჰგავს, ქიმიურია,
დაცვა უნდა ყველა წესს
და, რაც უცნაურია...
საჭიროა:
ოთახის
ჭერი მაღლა წვდებოდეს,
იატაკი—არა ხის—
ხშირად ირეცხებოდეს.
სისუფთავე, სინესტე,
კარგი ჰაერაცია,
დროს და სითბოს სიზუსტე
მაშინ ფერმენტაცია
ჩატარდება უნაკლოდ,
უმიზეზოდ და სრულად,
დიტოც ამ წესს სულ ახლო
გაეცნო პრაქტიკულად.

## 5. ჩაის ხმობა და ხმელი დახარისხება

ფერშემკრთალი ოთახი
ახმახ მანქანებითა,
ირგვლივ ბრუნვა,
ცახცახი
ჩარხთა გაქანებითა.—
ოხვრა, გმინვა,
ხმაური,
შეშფოთება, განგაში,
და ყვითელი მტვრის ბური
თოვს გარშემო თამაშით,
აგერ—მძიმედ კუთხეში
ხვნეშს მანქანა—ღუმელი
და ნედლ ჩაის უხეშად
ნთქავს გულგაუძღომელი.
ნთქავს და იქვე გვერდზე ჰყრის
შავი, შავის ფერითა,



მოსკოვის საათის ქარხნის დამკვრელი ქალი ამხ. ლესნიკოვა.



დამკვრელი კომკავშირელი ამხ. აფჩანია, რომელმაც პრემია მიიღო დავალების გადაჭარბებით შესრულებით შესრულებისათვის.

დიტო ხშირად წარბებს ხრის
გამხმარ ჩაის ცქერითა.
აქაც უბე ივსება
ხმელად დამხარისხებელს,
უმღერს, ეალერსება
მუშას ზრუნვით შემხებელს...
და შავ ჩაის დამარცვლულს
ახარისხებს ზომითა,
შვენის შრომა მტვრით მოცულს
შეუწყვეტელ ომითა.

## 6. სხვადასხვა ჩაი

ჩაი ჩინურ ჯიშისა
ან სათუთი ასამის,
შავი—ფერად ფისისა,
ჩაი—მწვანე ნასხამის.
ჩაი წმინდა,
რეული,
სხვადასხვა და
სხვა ჯურის:
ფოთლოვანი, მტრეული,
მტვერი,
მტკიცე აგურის.
ჩაი მდარე,
მაღალი,
ჩაი ყვავილოვანი.
ჩაი ძველი,
ახალი,
ჩაი სურნელოვანი.
ჩაი... მაგრამ რომელი,
რამდენი და რა სახის?
ჩაის ფრონტზე მშრომელი
ბრძოლის ჰანგებს გაძახის.

### ჩაის ჩაყრა ყუთებში სახვევ ქარხანაში გასაგზავნად

ქვის ჩაიც შავია,
შრად ანაბზინები,
ებო სანახავია
იდული ზვინები.
ქვე მუშას წინსაფრით
ოუქიმავს კუნთები,
უენება სისწრაფით
ნქანის ქვეშ ყუთები.
ა ამ სახით გზავნიან
ლა სხვა ქარხანაში,
ქ ახვევენ,
წონიან,
ემდეგ ჩვენ ქვეყანაში
ს მშრომელი განაგებს,
შრომელი ანაწილებს,
რიგდება ქალაქებს,
ოფლებს,
ჯარის ნაწილებს;
რიგდება გეგმურად
ყველას,
ყველა უბანში
ჩაქვის ჩაი, მზის ყურად
გახდილი ზღვის უბეში.

### 8. ჩაის ჩატვირთვა ვაგონებში

განთიადმა ფრთხიალით
ბინდს ნისკარტი შეასო
და შორეულ შრიალით
ცის ლაჟვარდი შეაღო.
მთის გადაღმა მზის ნაღმით
ცეცხლის ალი ავარდა,
ზღვამაც ტალღა ლაღიხმით
მაღლა შეანავარდა.
სიომ ღამით ნაბური
ნისლი ქროლვით დაკარგა,
შუქმა ჩაქვის სადგური
ლურჯზე თეთრად დაქარგა.
ირგვლივ აჩქარებული
რბენა,
ბარგის ტრიალი,
ხმები გაცხარებული,
ხმაურობა,
ხრიალი
ორთქმავალის კივილი,
ზარი,
აურზაური,
გაყრა გულის ტკივილით,
შეხვედრა უცნაური,
აგერ მარჯვე მუშები
ტვირთვენ ჩაით ვაგონებს
დიტო თვალშეუშვები
იმ ნეტარ დღეს იგონებს,
როცა მამამ პირველად
ჩაქვში ჩამოიყვანა,
რარიგ გასაკვირველად
ეჩვენა ეს ქვეყანა!
ახლა უყვარს უფრო ღრმად,
მუშის სიყვარულითა,
და ევსება გულის თქმა
შვება სიხარულითა...

— დ. ცვარნამი.

ტფილისი.
1933 წ.

# საბავშვო მწერლობის

## საკითხები

გაზეთ „პრავდა“-ს 10 მაისის ნომერში დაიბეჭდა რუსეთის ცნობილი მწერლების: ფადეევის, პავლენკოს, ...ვანოვის, ბეზიმენსკის, ლუგოვსკოის, ...უსტოვსკის და კასილის მიმართვა: Создадим художественные рассказы для детей“ .ისინი შეჯიბ...ებაში იწვევენ მთელ რიგ მწერ...ებს მხატვრული მოთხრობების და...წერად; აღნიშნული მწერლების მი...ართვა მეტად სერიოზულ დოკუ...ენტს წარმოადგენს და ლაპარაკობს ...მ განსაკუთრებულ ყურადღების შესა...ებ, რომელსაც პარტია იჩენს საბავშვო ...წერლობისადმი, რადგან საბავშვო ...წერლობა მოზარდი თაობის კომუ...ისტურად აღზრდის ერთ-ერთ ...ძლავრ იარაღს წარმოადგენს. ხაზგას...ით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ...მ მდგომარეობას სათანადო ყურად...ება არ ექცევა. მწერალთა მასები ...ანზე დგანან საბავშვო მწერლობი...ან და სასხვათაშორისო საქმედ ...ვლიან მას.

მიუხედავად ამისა, ქართულ საბავშვო მწერლობაში გასაბჭოების შემ...ეგ მნიშვნელოვანი მიღწევები ...ვაქვს.

საქართველოს გასაბჭოებამდე საქართველოში საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ არსებობდა: არსებობდა მხოლოდ ორი საბავშო ჟურნალი — „ჯეჯილი“, „ნაკადული“, რომლებიც მენშევიკების ხელში მათ საბრძოლო იარაღს შარმოადგენდა. აღნიშნული ორი ჟურნალის გარდა გამოდიოდა საბავშვო წიგნები, რომელთაც ცემდენ მოხალისე კერძო გამომცემლები კომერციული თვალსაზრისით. როგორი იყო ეს ჟურნალები, რა მიზანს ემსახურებოდენ ისინი ან და ვის საქმეს აკეთებდენ? უნდა ითქვას, რომ აქ კეთდებოდა თვითმპყრობელობის, მენშევიკების და რელიგიის საქმე. ჟურნალებმა თავიდანვე კურსი აიღეს იქეთკენ, რომ ჩაეგონებიათ ბავშვებისათვის: იწამეთ ქრისტე, არსებობს ქვეყნად კეთილი და ბოროტი, გიყვარდეს შენი სამშობლო, გიყვარდეს ყველა კაცი და იყავი მორწმუნე — კაცმოყვარე. ეს იყო ხაზი ჰუმანისტური, ხაზი, აღებული სანტიმენტალიზმისაკენ, რომელიც მოზარდ თაობაში აღუნებდა რევოლუციური სულისკვეთების გაღვიძებას.

აქედან არავინ არ უნდა გამოიტანოს ისეთი დასკვნა, ვითომდა ეს ჟურნალები კლასობრივ მსოფლმხედველობის გარეშე იდგენ. პირიქით, ის დებულებები, რომლებსაც წარსულში აყენებდა საბავშვო ჟურნალები, უაღრესად კლასობრივი მომენტების შემცველია, ეს კარგად იცოდა თვითმპყრობელობის მარჯვენა ხელმა — სარწმუნოებამ და იგი სრულიადაც არ იყო შემცდარი, როცა დაადგინა: „თანახმად მათი ყოვლად უსალმდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისას, ტფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო „ჯეჯილი“ საქართველოს ეპერქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქნეს სახმარებლად“. ეს დადგენილება ძალიან ბევრს ლაპარაკობს ჟურნალ „ჯეჯილის“ იდეური მიმართულების შესახებ. ჟურნალმა იმთავითვე აიღო მეფის სამსახურის კურსი, პირნათლადაც ასრულებდა ამ მოვალეობას. მძლავრი იყო საბავშვო ჟურნალებში ადგილობრივი ნაციონალიზმი-შოვინიზმი. ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებისათვის ესწავლებიათ სომეხი, ქართველი, და სხვა ეროვნების წარმომადგენლები



აბრეშუმის ქარხნის ძველი მუშა ქალი ამხ. წივწივაძე.

ერთმანეთის მტრები კი არ არიან, არამედ საჭიროა მათი შეკრება და ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ, ისინი ბავშვებს უნერგავდენ შეგნებაში „კოპწია“, ლამაზ და ზურმუხტოვან საქართველოს სიყვარულს, მოუთხრობდენ ბავშვებს ქართველ მეფეებზე, ისტორიულ პირებზე, რომლებიც გმირულად იცავდენ საქართველოს და სხვ. ბავშვების შეგნებაში ისინი სთესავდენ სარწმუნოებისადმი სიყვარულს. „გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს ქრისტე,!“—ასეთი იყო მათი ლოზუნგი. სწორედ ამ მდგომარეობით აიხსნება ის გარემოება, როდესაც საბავშვო ჟურნალების ყოველ ნომერში ლაპარაკი იყო შობის, ნათლისღების, აღდგომის და სხვა რელიგიური დღესასწაულების მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნული ჟურნალები წარსულში არ გამოხმაურებია ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის და სხვა საკითხებს. გამოეხმაურა ჟურნალები მხოლოდ 1917 წლის რევოლუციას, რომელიც ათვისებულ იქ ა უარყოფითად. ამოქმედდა „დემოკრატიული“ საქართველოს პატრიოტები. სოციალ-გამყიდველთა პარტიის—მენშევიკების — კარის მგოსნები და ოქტომბრის რევოლუცია შავი გველების მოფრენას შეადარეს. რევოლუცია თვითმპყრობელობის შეცვლილი სახით მოვლენათ ჩათვალეს. დაიწყო დუდუნი, და ეს სანტიმენტალური ხაზი საბავშვო ლიტერატურაში მძლავრად მჟღავნდებოდა საქართველოს გასაბჭოებამდე, შემდეგ კი მდგომარეობა გამოიცვალა, მენშევიკების დროის საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურა ცარიელ ადგილს წარმოადგენდა. დროგამოშვებით საბავშვო ჟურნალებში გაისმოდა მელანქოლიური ღიღინი „დემოკრატიული“ საქართველოს შესახებ. გასაბჭოების პირველ წლებში საბავშვო ჟურნალებში საგრძნობლად მჟღავნდებოდა სევდიანი მოტივები. ამოქმედდენ კალმოსნები და თავი შეაფარეს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს. ტიროდენ საქართველოს „დაკარგულ“ იმედს. ერთ-ერთი მენშევიკი მწერალი 1921 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ აგვისტოს ნომერში შემდეგი შინაარსის ლექსს ათავსებს (ლექსი მიძღვნილია პატარებისადმი):

„თქვენი ალერსი არ მოგვწყინდება,
რაც უნდ მრისხანედ ქროდენ ქარები.
შეგვესწრო უდროდ დღის მობინდება,
იცვალენ ველნი, გაქრენ დარები,
დაგრჩებათ სხივი გულის გამთბობი,
ბრძოლით ამბები დაწერილები“.

ლექსის შინაარსი გასაგებია; აქ მწერალი მისტირის მენშევიკურ საქართველოს. მაშ რას ნიშნავს „იცვალენ ველნი გაჰქრენ დარები“—რომელ დარზეა აქ ლაპარაკი? რას გულისხმობს მწერალი ველების შეცვლასა და დარების გაქრობაში? ცხადია, მენშევიკურ საქართველოს. მენშევიკური პარტია ჩაბარდა ისტორიის არქივს. აჯანყებულმა მუშებმა და გლეხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს საქართველოს გასაბჭოება. მენშევიკ მწერალს ეს არ მოსწონს და სურს მოზარდ თაობას ჩაუნერგოს ის აზრი, რომ „დაგრჩებათ სხივი გულის გამთბობი, ბრძოლით ამბები დაწერილები“. საერთოდ, მძლავრად მჟღავნდებოდა ნაციონალისტური განწყობილებანი ქართულ საბავშვო-საყმაწვილო ლიტერატურაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა საბავშვო მწერლობის განვითარებას. თუ რომ გასაბჭოებამდე თითო-ოროლა წიგნი გამოდიოდა და ისიც კერძო პირების მიერ, კომერციული მიზნით, დღეს ამ საქმეს სერიოზული ყურადღება ექცევა და სახელმწიფო გამომცემლობასთან შექმნილი სპეციალური საბავშვო-საყმაწვილო სექტორი, რომლის ფუნქციებსაც შეადგენს ბრძოლა მაღალი თვისების საბავშვო წიგნისათვის, ბრძოლა ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხალტურის წინააღმდეგ, ბრძოლა კომუნისტური საბავშვო წიგნისათვის.

კლასობრივი მტერი, როგორც სხ. ფრონტზე შეუნელებლ... ლის აწარმოებს. ეს ... ჩნევა საბავშვო ლიტერატურ... მართალია, კლასობრივი მტერი ... გამოდის აშკრად, არ ყვირის საჯ... როდ, მაგრამ იგი, შეცვლილი ტაქტ... კით, ახალ პერიოდში, ახალი ფო... მებით გვებრძვის. ძველ საბავშვო მწ... რალთა კადრიდან ნაწილი ჯერ კიდ... არაა განთავისუფლებული წვრილ... ბურჟუაზიული მსოფლმხედველო... ბიდან. მათი შემოქმედება საბავშ... მწერლობის დარგში ისევ ძველი გზ... მიდის, მხოლოდ სულ სხვაგვარ ფო... მებში, ვიდრე ეს წარსულში იყ... ამ რამოდენიმე წლის წინ ისინი ა... კარად გამოდიოდენ, ქადაგობდ... კლასობრივ ზავს, ქადაგებდენ პოლ... ტიკურ ბურჟუაზიულ თეორიას ... ცდილობდენ ბავშვებში დაეჩლუნ... ბიათ კლასობრივი შეგნება. ეს ... ზანი ზოგიერთ მათგანისათვის დღე... არსებობს, მხოლოდ ამ მიზნისათ... ბრძოლა სულ სხვა ფორმებით სწ... მოებს, მეორე მხრივ, ძველ საბავშ... მწერალთა უმრავლესობა გულწრ... ლად მოვიდა ჩვენთან და აქტ... მონაწილეობას ღებულობს ჯანს... საბავშვო ნაწარმოებთა შექმნის საქ... ში. ძველი საბავშვო მწერლებიდ... აღსანიშნავია შიო მღვიმელის შემ... მედების ევოლუცია. ცნობილ... რომ შიო მღვიმელი ქართულ საბ... შვო მწერლობაში ჰუმანისტ მწ... ლად ითვლებოდა, რომელიც კ... სობრივი ბრძოლის მომენტებს გვ... უხვევდა თავის შემოქმედებაში. ... სი შემოქმედების ძირად თემატ... შეადგენდა ტყე, ველი, გაზაფხ... ზამთარი და, საერთოდ ბუნების მ... ლენები. შიო მღვიმელი თავის ლ... სებში ყოველ მოვლენას ბედ... რასა და შემთხვევითობას უკავშ... და. იგი შიშს უნერგავდა ბავშ... ბუნების სტიქიური მოვლენების... და მას უმორჩილებდა მათ. ეს ... შემოქმედებითი შიო მღვიმელს ... ლობრივ დღესაც ახასიათებს. შიო მ... მელის შემოქმედებაში მნიშვნელო... გარდატეხა მოხდა. შიო მღვიმელი... ლი თემატიკური მასალა — პეპ... გაზაფხული და სხვა —ახალ თემ... კით შეიცვალა, მაგრამ ამ ახალ ... მატიკაში ზოგჯერ ძველი იდ... ხაზი მოჩანს. ასევე შეგვიძლია ვთ... ნინო ნაკაშიძის შესახებ, რომ... მთელი შემოქმედება ქრისტ... მისა და ღმერთისადმი სიყ... ლის ნიშნით ვითარდებოდა. მი...



მკვრავი № 2. კომკავშირელი დამკვრელი ქალი ამხ. პუდინკო.

ლაპარაკობს ავტორის დახავსებული არსებისა და მის ჩამორჩენილობის შესახებ. ასეთი მოთხრობისაგან უნდა განიტვირთოს საბავშვო ლიტერატურა. საგამომცემლო ორგანოები მეტი სერიოზულობითა და სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ საბავშვო წიგნის გამოცემის საქმს, მით უფრო მაშინ, როდესაც სახელგამის საბავშვო სექტორის მიერ ს. რემონიძის „ზეინაბის ყვერულს“ უარყოფითი რეცენზია ჰქონდა მიცემული და დასაბეჭდათ წარმოდგენილი წიგნი ავტორს უკან დაუბრუნდა, როგორც იდეურად გაუმართლებელი მოთხრობა. აღნიშნულ მოთხრობას ზარალის მოტანის მეტი არაფერი არ შეუძლია მოზარდი თაობისათვის. ასეთი წიგნების წინააღმდეგ ბრძოლა კი ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ძველ მწერალთა კადრებიდან საბავშვო ლიტერატურაში საკმაო ნაყოფიერებით მუშაობს ლადო გეგეჭკორი. წარსულში ლადო გეგეჭკორის შემოქმედება ადგილობრივი ნაციონალიზმის გზით მიიმართებოდა. დღეს მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ლადო გეგეჭკორის შემოქმედებითი თემატიკური მასალა დღევანდელობის აქტუალური საკითხებით განისაზღვრება, მაგრამ მთელი მისი უბედურება მასში მდგომარეობს, რომ იგ ვერ ძლევს ამ ახალ მასალას, ზოგჯერ ნაძალადოების შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც საბოლოო ანგარიშით ზოგადობასა და მხოხავ ემპირიზმში გადადის. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ლ. გეგეჭკორის საბავშვო ლექსი „ავაშენოთ“, რომელიც სახელგამის მიერ 1931 წელსაა გამოცემული. ავტორის განზახვაა ლექსში მოგვცეს, თუ როგორ აშენებენ ბავშვები ქალაქს. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ გეგეჭკორმა ეს ამოცანა ვერ დაძლია და ლექსიც ნაძალადევი გამოუვიდა. [illegible]გი აღწერს ბავშვების მიერ წარმ[illegible]ულ ქალაქის მშენებლობას და წერს:

„მუშაობა დაიწყეს,
შრომა გაინაწილეს;
ზოგმა წყალი სარწყავით
ონკანიდან მოზიდა.
აგერ მიწა და სილა
ერთმანეთ შიაზილეს,
ამ საქმეს მეთაურობს
მათში უფროსი ლიდა.
ანდა:

ნინომ ცელქმა, ეშმაკმა,
ნიჩბით არხი გათხარა
და, როდესა ამ არხზე
მან ხიდი გადიყვანა.
იყო ისე ლამაზი,
ისე კოხტა, აპატარა,
რომ გაოცდ ბავშვები:
თინა, ვახტანგი, ლევანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ბავშვებისათვის ძალიან ძნელი გასაგებია წარმოებული მშენებლობა, რადგან მშენებლობის პროცესი მოცემულია მშრალად და ძალზე სქემატიურად. მას აკლია კონკრეტობა და, რაც მთავარია, აზრის მკაფიოდ და გარკვევით გადმოცემა. ლადო გეგეჭკორმა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მომავალში სერიოზულად უნდა იმუშაოს.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ დანარჩენ ძველ საბავშვო მწერლებზე, რომლებიც ახლაც მუშაობენ საბავშვო ლიტერატურაში, მაგ. **ცქვიტი**. ცქვიტის ერთი ღირსება მასში მდგომარეობს, რომ მას აქვს კარგი ლიტერატურული ენა და ეხერხება ბა[illegible]ვებისათვის გასაგებად წერა, მაგრ[illegible]საც გაახნია თავისებური ნა[illegible]ა ეს მასში მდგომარეობს, [illegible]სიც გეგეჭკორივით ვერ სძ[illegible]ლ თემატიკურ მასა[illegible]ურებს მის ახლახან [illegible]ავშვო მოთხრობა[illegible]ღელეგატები". ამ[illegible]რლებში შესამჩნევი[illegible] თემაზე არასერიოზულ[illegible]ა ფაქტების ზერელედ, ფ[illegible]კიულად-ნატურალისტურად აღწ[illegible] ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდნენ ნატურალიზმის ნაჭუჭებიდან. ნატურალიზმის, როგორც ლიტერატურულ მიმართულების ტრადიცია დღესაც გრძელდება. ქართულ საბავშვო მწერლობაში ნატურალისტების ბანაკს შეგვიძლია მივაკუთნოთ ს. ერთაწმინდელი, რომლის საბავშვო მოთხრობებს და პიესებს აკლია სიღრმე და დამაჯერებლობა. | წორედ ამის შესახებ ლაპარაკობს მისი საბავშვო პიესათა კრებული „იყავ მზად“. მასში მოთავსებულია რამოდენიმე პიესა, რომლებიც არაა სათანადოთ დამუშავებული. ერთაწმინდელს უყვარს სიტყვების რახა-რუხი, უყვარს კომიურ და აბსტრაქტულ თემებზე წერა. ცხადია ყოველივე ეს ქმნის ზერელობას და არადამაჯერებლობის შთაბეჭდილებას, მის შემოქმედებაში ნაწილობრივ გამეფებულია შტამპი. მისი პიესები ხშირად გაუგებარია. ავიღოთ პიესა „იყავ მზად“-დან, მაგალითად:



მეთაური; — უკან დარჩენა კი არ.
ყველა: არამედ
მეთაური: წინ — იარ!!!
ყველა: რევოლიუციის ფაფრისა ვარცხნით,
შემოქმედების ალი ავარდა!
ამხანაგებო, სალამი მარცხნით,
აბა, ახლა კი ასწიეთ ფარდა!!!

მოდით და გაუგეთ ამ სტრიქონებს რაიმე — კი არ, წინ იარ, ავარცხნით, მარცხნით, ავარდა, ფარდა და სხვ. სიტყვათა ასეთ თამაშში ვითარდება მთელი ეს პიესა. ავიღოთ მეორე პიესა „თქმა ლენინზე“ ერთაწმინდელი წერს. „წინათქმა (ფარდის წინ):

დღეს ჩვენ, პიონერები,
ვიგონებთ ლენინს
და
მის სადიდებლად ყველგან ვქრით
ჩვენ ლენინით ვართ ანამღერები
და
წითელ დრ ჟებს მის წინ ვხრით
(საყვირი)
ალლო! ალლო! ალლო!
სმენა!
აქ გათამაშდება პატარა
სცენა
და...

და ის, რომ ყველაფერი გაუგებარია. და..... ის, რომ საბავშვო მწერლობაში ბოლო უნდა მოეღოს სიტყვათა თამაშს, რითმების წვალებას და „და... და“ ძახილს. მაგრამ მიუხედავათ ამისა სეზმან ერთაწმინდელს აქვს მთელი რიგი მოთხრობები პიონერთა ყოფა-ცხოვრებიდან, რომლებიც მწერლის მიერ სათანადო მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული.

რადგან ნაწარმოების მხატვრულ გემოვნებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ჩვენ არ შეგვიძლია ორი სიტყვით არ შევეხოთ ამ საკითხს საბავშვო ლიტერატურაში. ამ საკითხის დაყენება მეტად დროულია, რადგან ჩვენში ნაწარმოების მხატვრული დონე ძალზე დაბალია, მკითხველის ესთეტიური გემოვნება და მხატვრული გაგება კი მაღალი. მწერლობა ჩამორჩა მკითხველს. ჩვენი საბავშვო წიგნების მხატვრული დონე მეტად დაბალია და ეს მდგომარეობა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ჩვენი მწერლები საბავშვო ნაწარმოებებზე მუშაობენ ზერელედ, სასხვათაშორისოდ და გულაგდებით, ამის დამამტკიცებელი არა ერთი და ორი ფაქტია, არამედ რამდენიც გნებავთ იმდენი. ამ ბოლო დროს მხატვრულობის საკითხს საბავშვო მწერლობაში მიექცა მწერლების მიერ ნაწილობრივი ყურადღება. ამ ყურადღების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ილო მოსაშვილის მოთხრობა „თოლია“. ავტორი მეტად მოხდენილ ფორმებში იძლევა მწყემსის ძაღლის, თოლიას ცხოვრებას და მის თავგადასავალს, და მოთხრობა დიდი ინტერესით იკითხება. „თოლია“ ქართულ ორიგინალურ საბავშვო მწერლობაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. მეტად მოხდენილადაა გადმოშლილი მოთხრობაში მგლისა და თოლიას შეხვედრის ამბავი. მაგრამ ერთი ნაკლი, რომელსაც ხაზი უნდა გავუსვათ, მასში მდგომარეობს, რომ თავიდანვე, მოთხრობის დასაწყისიდან, მწერლის მიზანი იყო, რომ ძაღლი თოლია გამოეყვანა არა ძაღლად, არამედ ქკვიანზე უფრო ჭკვიანად, სინდისიერად, პატიოსნად და კეთილად. ეს ტენდენცია უსათუოდ მძლავრადაა გადმოშლილი მოთხრობაში. ავიღოთ თუ გინდ ის ფაქტი, როდესაც თოლია ქალაქში დაიკარგება და იგი ერთ-ერთი მიყრუებულ ქუჩაში მშიერი წევს: „თოლია მთელი დღე ეძებდა პატრონს, მაგრამ კვლავ უშედეგოთ. ბოლოს მწვავე შიმშილმა მოუარა, თითქოს მუცელში ასი სადგისი ერთად გაუყარეს. რა ქნას თოლიამ, სად წავიდეს, სად რა იშოვოს? თავისით არავინ არასფერს აძლევს; მოიპაროს—ქურდბაცაცა ხომ არ არის. კუდის ქნევა და ლაქუცი დაუწყოს ამდენ მოსიარულეს,— ეს ხომ ყასბის ძაღლის საქმეა“ (გვ. 25). აქ ილო მოსაშვილის მიერ გამოყენებულია შებრალებისა და შეცოდების თეორია. ავტორი აბრალებს მკითხველს თოლიას, რადგან იგი თვით ავტორს ებრალება. თოლია გადიადებულია, და მწერალმა არ დაზოგა არავითარი მხატვრული ფერები მის მოსახაზავად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „თოლია“ საბავშვო მწერლობაში პრო[...] დარგში ერთ-ერთი მნიშვნელოვ[...] ნაწარმოებია, სათანადო მხატვრუ[...] გემოვნებით და მხატვრული ოს[...] ტობით შესრულებული. ილო მო[...] შვილმა ამ მიმართულებით შემდ[...] შიც უნდა განაგრძოს მუშაობა.


„26 კომუნარების“ ქარხანა დაწინაურებულ[...] დამკვრელი ქალი ამხ. კოსტანიანი.

## სოციალისტური რეალიზმისა [...] რევოლუციური რომანტიზმის [...] დაუფლების გზით

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილ[...] ისტორიულმა დადგენილებამ სამხატ[...] რო-სალიტერატურო ორგანიზაც[...] ების გარდაქმნის შესახებ უდიდესი [...] მეტად სერიოზული ამოცანები [...] მოაყენა მწერლობის წინაშე. ამ ამ[...] ცანების პრაქტიკაში განაღდება [...] უძლებელი იყო იმ გზითა და მეთ[...] დებით, რომლებითაც 23 აპრილ[...] დე ხელმძღვანელობდენ, რადგან ა[...] ლი პირობები ახალ ფორმებს და [...] თოდებს მოითხოვს. აუცილებელ[...] უფრო ახლო მისვლა სოციალისტ[...] მშენებლობასთან, უფრო ორგანუ[...] განცდა ამ მშენებლობისა, უფრო [...] ტიური მონაწილეობის მიღება [...]



ერგიული ბრძოლა საბჭოთა ხე- ახალგაზრდა: გამომცემლობა „მოლო- რები. ჩვენც უნდა გამოვცეთ

ლისუფლების დავალებათა შესრულე-ბათათვის.

23 აპრილის დადგენილებას ბუნებრივად მოჰყვა მთელი რიგი ახალი შემოქმედებითი ლოზუნგების წამოყენება, როგორიცაა სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის საკითხი. აღნიშნული ლოზუნგების მტკიცედ და ზუსტად გამოყენებით მწერლობისათვის ადვილი ხდება მასზე დაკისრებული ვალდებულებათა შესრულება. ასეთივე უდიდესი ამოცანა დგას საბავშვო ლიტერატურის წინაშეც. აღნიშნული ლოზუნგები აქაც ვრცელდება. საბავშვო ლიტერატურაში მოცემულ უნდა იქნას სინამდვილე, აღწერილ უნდა იქნეს სიმართლე, მაგრამ რევოლიციური რომანტიზმის საშუალებით, ვინაიდგან ბავშვებს ძალზე უყვართ რომანტიკული, ზღაპრული და რეალური წერები. ჩვენში კი დღემდე ზღაპარი ამოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. იგი ითვლებოდა. ცხადია ჩვენ არ ვართ მომხრე განუხორციელებელი ზღაპრების, ჩვენ მომხრე ვართ ისეთი ზღაპრობის, რომელიც დღეს არ არის, რომ ხვალ განხორციელდება. მაგ. ჟიულ-ვერნის „80.000 კილომეტრი წყალქვეშ“ თავის დროზე ყველას ზღაპრად ეჩვენებოდა, მაგრამ დღეს ეს ზღაპარი სინამდვილედ იქცა. **ჩვენ გვჭირდება ზღაპარი, რომელიც სინამდვილიდან გამოდის, რომელიც იქცევა რეალობად.** ზღაპრის საკითხს ლენინი ბავშვების აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ამბობდა: „ბავშვებს თვისებაშ შეიძლება ვის ლამაზი ზღაპრის სიყვარული, ძველ ზღაპარში არის სინამდვილის ელემენტები. თუ თქვენ მიაწოდებთ ბავშვებს ისეთ ზღაპარს, სადაც მამალი და კატა არ ლაპარაკობენ ადამიანის ენით ისინი არ დაინტერესდებიან თქვენი ზღაპრით“. (ლენინი, პარტიის VI ყრილობა „ომისა და ზავის შესახებ“, ტ. XXII, გვ. 324 — 325.

საქ. კ. პ. ცეკას VI პლენუმზე გამოსვლისას ,,მოლოდაია გვარდიის" ... ამხ. ტროიცკი

დაია გვარდია“ საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას თანხმობით გადაწყვიტა შეუერთდეს ლენინს, და არა იმ ცალკეულ ამხანაგებს პედაგოგების წრიდან, რომელნიც ზღაპრების გამოცემის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვსცეთ მთელი რიგი ზღაპრები, მათი სათანადოდ დამუშავებით და შერჩევით. კიდევ მეტი — ჩვენ მომხრე ვართ იმის, რომ შევქმნათ ახალი ზღაპარი. ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ ლიტერატურის ამ ფორმის მოხერხებულად და ბოლშევიკურად გამოყენებაში“.

ჩვენი საბავშვო-საყმაწვილო სექტორიც უნდა შეუერთდეს ამხ. ლენინს და საქ. კ. პ. ცეკას გადაწყვეტილებას ზღაპრის შესახებ. ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ მათ, ვინც ერთი ხელის დაკვრით ფიქრობს უარჰყოს ზღაპარი, ჩვენ გვინდა ზღაპარი არა ბურჟუაზიული, სანტიმენტალური, მშიშარა, ზღაპარი არა მართლა ზღაპრული, არამედ ზღაპარი გმირული, რომელიც მოზარდს ჩაუნერგავს ბრძოლისა, შეტევისა და ენტუზიაზმის ხალისს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში არა მარტო ზღაპარი, არამედ წიგნი საჭირო იყო იმისათვის, რომ მოეჩლუნგათ ახალგაზრდობის გონება“. ჩვენში წიგნი საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მაღალ დონეზე და საფეხურზე ავიყვანოთ ბავშვის ცოდნა და განვითარება, გაუხსნათ გონება და ჩავნერგოთ მასში კლასობრივი შეგნება. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ბრძოლა ბავშვის გონების დაჩლუნგებისათვის, აქ კი საბჭოთა კავშირში — ბრძოლა ბოლშევიკურ ზღაპრისათვის, კომუნისტური წიგნისათვის, ბავშვთა გონების გახსნისათვის და მათი მომზადებისა და ცოდნის მარაგის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის. ასეთია ორი მოპირდაპირე ქვეყნის — კაპიტალისტურისა და სოციალისტური კულტურისა და წიგნის დანიშნულება.

საბავშვო სექტორმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას ბოლშევიკური ზღაპრის შექმნის საქმეში. მოზიდულ უნდა იქნეს მწერალთა კად-

გინალური ზღაპრები. მუშაობას ამთ ვითვე უნდა შევუდგეთ. საბავშვო სე ტორმა ყურადღება უნდა მიაქციო აგრეთვე ძველ ბოლშევიკთა მოგონ ბების სისტემატურად ბეჭდვისა და გ მოცემის საქმეს. ამ მხრივ საქ. სახელგა თან არსებულ საბავშვო-საყმაწვილ სექტორს მნიშვნელოვანი მიღწევე აქვს. წელს გამოიცა ამხ. ამხ. აბ. ენუქ ძის ,,ლეგალური ბოლშევიკური ,,სტ მბები“. კრასინის — ,,ბოლშევიკუ იატაკქვეშ“. ბ. ბიბინეიშვილის — ,,ს იდუმლო გვირაბი“. იცემა მისი „ლადო კეცხოველი“. ძველ ბოლ შევიკთა მოგონებების გამოცემას უდი დესი მნიშვნელობა აქვს ბავშვების კო მუნისტურად აღზრდის საქმეში, რად გან აქ ბავშვები ეცნობიან განვლილ ბრძოლებს გმირული ეპიზოდებით ჩვენ ბავშვებს უნდა მივსცეთ ისტო რიული მასალა და ამიტომ ჩვენს ის ტორიას და აგრეთვე იმას, რომ გა მსჭვალოთ განსაკუთრებით ჩვენი ახალ გაზრდული პოლიტიკური ლიტე რატურა ისტორიზმით, ჩვენ არ უნდ ვეკიდებოდეთ ისე, როგორც აკად მიურ და განყენებულ საქმეს. ახალ გაზრდა მკითხველმა ცოტა რამ იცი წარსულის შესახებ. მან უნდა იცო დეს ეს წარსული და იცოდეს არ როგორც ობივატელმა, არამედ რო გორც ბოლშევიკმა და მარქსისტ-ლე ნინელმა. ახალგაზრდა მუშისათვის და ხმარების გაწევა ჩვენი წარსულისა დ ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავ ლაში და ამ მიზნით სპეციალური ისტორიული ლიტერატურის გამოცე მასთან ერთად პოლიტიკური წიგნი ისტორიზმით გამსჭვალვა, — ასეთი ჩვენი ამოცანა. მაგრამ წარსული ცოდნა ყველაფერი როდია. საჭირო ჩვენმა ახალგაზრდულმა პოლიტიკუ რმა წიგნმა შეაიარაღოს ახალგაზრდ მკითხველი პერსპექტივების ცოდნით გამარჯვების რწმენით, პარტიის ბოლ შევიკური გენერალური ხაზის ცოდ ნით, რომელიც იძლევა გამარჯვე ბის გასაღებს. ჩვენ უნდა მივსცე პოლიტიკურ ახალგაზრდულ წიგნ უფრო მტკიცე პროპაგანდისტულ

ენერგიული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დავალებათა შესრულებისათვის.

23 აპრილის დადგენილებას ბუნებრივად მოჰყვა მთელი რიგი ახალი შემოქმედებითი ლოზუნგების წამოყენება, როგორიცაა სოციალისტური რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის საკითხი. აღნიშნული ლოზუნგების მტკიცედ და ზუსტად გამოყენებით მწერლობისათვის ადვილი ხდება მასზე დაკისრებული ვალდებულებათა შესრულება. ასეთივე უდიდესი ამოცანა დგას საბავშვო ლიტერატურის წინაშეც. აღნიშნული ლოზუნგები აქაც ვრცელდება. საბავშვო ლიტერატურაში მოცემულ უნდა იქნეს სინამდვილე, აღწერილ უნდა იქნეს სიმართლე, მაგრამ რევოლუციური რომანტიზმის საშუალებით, ვინაიდგან ბავშვებს ძალზე უყვართ რომანტიკული, ზღაპრული და რეალური ნაწერები. ჩვენში კი დღემდე ზღაპარი მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. იგი იდევნებოდა. ცხადია ჩვენ არ ვართ მომხრე განუხორციელებელი ზღაპრების, ჩვენ მომხრე ვართ ისეთი ზღაპრობის, რომელიც დღეს არ არის, მაგრამ ხვალ განხორციელდება. მაგ. ჟიულ-ვერნის „80.000 კილომეტრი წყალქვეშ" თავის დროზე ყველას ზღაპრად ეჩვენებოდა, მაგრამ დღეს ეს ზღაპარი სინამდვილედ იქცა. **ჩვენ გვწამს ზღაპარი, რომელიც სინამდვილიდან გამოდის, რომელიც იქცევა რეალობად.** ზღაპრის საკითხს ლენინი ბავშვების აღზრდის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ამბობდა: ,ბავშვების თვისებას შეადგენს ლამაზი ზღაპრის სიყვარული, ყოველ ზღაპარში არის სინამდვილის ელემენტები. თუ თქვენ მიაწოდებთ ბავშვებს ისეთ ზღაპარს, სადაც მამალი და კატა არ ლაპარაკობენ ადამიანის ენით ისინი არ დაინტერესდებიან ასეთი ზღაპრით". (ლენინი, პარტიის VII ყრილობა „ომისა და ზავის შესახებ", ტ. XXII, გვ. 324 — 325.

საკ. კ. პ. ცეკას VI პლენუმზე გამომცემლობა, ,,მოლოდაია გვარდიას" ხელმძღვანელი ამხ. ტროიცკი აცხადებდა: გამომცემლობა „მოლოდაია გვარდია" საკ. ა. ლ. კ. კ. ცეკას თანხმობით გადაწყვიტა შეუერთდეს ლენინს, და არა იმ ცალკეულ ამხანაგებს პედაგოგების წრიდან, რომელნიც ზღაპრების გამოცემის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენ გადავსწყვიტეთ გამოვსცეთ მთელი რიგი ზღაპრები, მათი სათანადო დამუშავებით და შერჩევით. კიდევ მეტი — ჩვენ მომხრე ვართ იმის, რომ შევქმნათ ახალი ზღაპარი. ამოცანა მდგომარეობს მხოლოდ ლიტერატურის ამ ფორმის მოხერხებულად და ბოლშევიკურად გამოყენებაში''.

ჩვენი საბავშვო-საყმაწვილო სექტორიც უნდა შეუერთდეს ამხ. ლენინს და საკ. კ. პ. ცეკას გადაწყვეტილებას ზღაპრის შესახებ. ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ მათ, ვინც ერთი ხელის დაკვრით ფიქრობს უარჰყოს ზღაპარი, ჩვენ გვინდა ზღაპარი არა ბურჟუაზიული, სანტიმენტალური, მშიშარა, ზღაპარი არა მართლა ზღაპრული, არამედ ზღაპარი გმირული, რომელიც მოზარდს ჩაუნერგავს ბრძოლისა, შეტევისა და ენტუზიაზმის ხალისს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში არა მარტო ზღაპარი, არამედ წიგნი საჭირო იყო იმისათვის, რომ მოეჩლუნგათ ახალგაზრდობის გონება''. ჩვეში წიგნი საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მაღალ დონეზე და საფეხურზე ავიყვანოთ ბავშვის ცოდნა და განვითარება, გაუხსნათ გონება და ჩავნერგოთ მასში კლასობრივი შეგნება. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ბრძოლა ბავშვის გონების დაჩლუნგებისათვის, აქ კი საბჭოთა კავშირში — ბრძოლა ბოლშევიკურ ზღაპრისათვის, კომუნისტური წიგნისათვის, ბავშვთა გონების გახსნისათვის და მათი მომზადებისა და ცოდნის მარაგის მაღალ საფეხურზე აყვანისათვის. ასეთია ორი მოპირდაპირე ქვეყნის — კაპიტალისტურისა და სოციალისტური კულტურისა და წიგნის დანიშნულება.

საბავშვო სექტორმა სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას ბოლშევიკური ზღაპრის შექმნის საქმეში. მოზიდულ უნდა იქნეს მწერალთა კადრები. ჩვენც უნდა გამო[illegible] ორიგინალური ზღაპრები. მუშაობას ამთავითვე უნდა შევუდგეთ. საბავშვო სექტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე ძველ ბოლშევიკთა მოგონებების სისტემატურად ბეჭდვისა და გამოცემის საქმეს. ამ მხრივ საქ. სახელგამთან არსებულ საბავშვო-საყმაწვილო სექტორს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. წელს გამოიცა ამხ. ამხ. აბ. ენუქიძის ,,ლეგალური ბოლშევიკური ,,სტამბები''. კრასინის — ,,ბოლშევიკები იატაკ ქვეშ''. ბ. ბიბინეიშვილის — ,,საიდუმლო გვირაბი''. იცემა მისივე „ლადო კეცხოველი". ძველ ბოლშევიკთა მოგონებების გამოცემას უდიდესი მნიშვმელობა აქვს ბავშვების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, რადგან აქ ბავშვები ეცნობიან განვლილ ბრძოლებს გმირული ეპიზოდებით. ჩვენ ბავშვებს უნდა მივსცეთ ისტორიული მასალა და ამიტომ ჩვენს ისტორიას და აგრეთვე იმას, რომ გავმსჭვალოთ განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდული პოლიტიკური ლიტერატურა ისტორიზმით, ჩვენ არ უნდა ვეკიდებოდეთ ისე, როგორც აკადემიურ და განყენებულ საქმეს. ახალგაზრდა მკითხველმა ცოტა რამ იცის წარსულის შესახებ. მან უნდა იცოდეს ეს წარსული და იცოდეს არა როგორც ობივატელმა, არამედ როგორც ბოლშევიკმა და მარქსისტ-ლენინელმა. ახალგაზრდა მუშისათვის დახმარების გაწევა ჩვენი წარსულისა და ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლაში და ამ მიზნით სპეციალური ისტორიული ლიტერატურის გამოცემასთან ერთად პოლიტიკური წიგნის ისტორიზმით გამსჭვალვა, — ასეთია ჩვენი ამოცანა. მაგრამ წარსულის ცოდნა ყველაფერი როდია. საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდულმა პოლიტიკურმა წიგნმა შეაიარაღოს ახალგაზრდა მკითხველი პერსპექტივების ცოდნით, გამარჯვების რწმენით, პარტიის ბოლშევიკური გენერალური ხაზის ცოდნით, რომელიც იძლევა გამარჯვების გასაღებს. ჩვენ უნდა მივსცეთ პოლიტიკურ ახალგაზრდულ წიგნს უფრო მტკიცე პროპაგანდისტული

ასიათი და შევსძლოთ მარქსისტულ ლენინური თეორიის ილიუსტრირება დღევანდელი დღის ცხოვრებითა და დღევანდელი დღის ამოცანათა ბოლშევიკური თეორიის და ისტორიის თვალსაზრისით გაშუქებით. ჩვენი პოლიტიკური წიგნი უბრალოდ კი არ უნდა აკანონებდეს და არ იძლეოდეს ვამზადებულ ფორმულებს, არამედ ხსნიდეს და მარტავდეს ამ ფორმულებს. წიგნი „პროპაგანდისტული უნდა იყოს“ (ტროიცკი).

ამხ. ტროიცკის მოხსენებიდან ასე ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ის ნათელ სურათსა და წარმოდგენას იძლევა ისტორიულ წიგნების გამოცემის საკითხზე. გინდ იყოს წიგნი ისტორიული, გინდ თანამედროვე, იგი მკითხველში უნდა აღვიძებდეს ბრძოლისა და შეტევის ინტერესს. მას უნდა უნერგავდეს პერსპექტივის იმედს და უნდა აძლევდეს ენტუზიაზმის სტიმულს. საბავშვო წიგნი საუკეთესო აგიტატორად უნდა გახდეს მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. მხატვრულ საბავშვო წიგნში მოცემულ უნ[illegible]ა იქნეს ის საჭირბოროტო საკითხები, რომელიც ამჟამად მოზარდი თაობის წინაშე სდგას. საბავშვო მსატვრულმა წიგნმა უნდა აჩვენოს ბავშებს ჩვენი დროის გმირი, ჩვენი ეპოქის ადამიანები, რომლებიც აქტიურად და შეუნელებლად იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. საბავშვო წიგნმა უნდა გვიჩვენოს ხუთწლედის ადამიანები, ეს ჩვენმა მწერლებმა უნდა შეძლონ. მათი შემოქმედება უნდა განვითარდეს სოციალისტური რეალიზმისა და რევოლიუციური რომანტიზმის დაუფლების გზით. ამ გზით ქართულ საბავშვო მწერლობაში მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. ეს მიღწევები პროლეტარულ მწერლებს ეკუთვნის. მათ შორის გამოირჩევა პოეტი ალიო მაშაშვილი. მან გამოსცა ლექსების წიგნი „პიონერული“, რომლებიც სავსეა მებრძოლი რევოლიუციური განწყობილებით. იგი საერთოდ რევოლიუციური რომანტიკისა, აღმაფრენისა და ენტუზიაზმის მწერალია. ლექსის ტექნიკა მაშაშვილს არა მარტო საბავშვო ლექსებში, საერთოდ მის შემოქმედებაში უმაღლეს ხარისხს აღწევს. მაგ. ავიღოთ მისი ლექსი „პიონერული“:

რიგში დარაზმული
მოვდივართ თანაბრად,
გუგუნებს მედგარი ხმა;
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს,
დაჰკარით ბარაბანს, ბრახ!“

მისი ლექსები მოზარდ თაობაში ნერგავს კლასობრივ შეგნებას და მოუწოდებს ახალი ბრძოლისაკენ. იგი ოქტომბრელებს მიმართავს:

„მეგობრებო, ერთად, ერთად,
სწორდით მხარდამხარ,
აგუგუნდეს ოქტომბრელთა
ნაბიჯების ხმა!
ოქტომბრელო,
მომავალის
მშენებელი ხარ!

ასეთ ხაზებში ვითარდება ალიო მაშაშვილის შემოქმედება. მთავარი, რაც დამახასიათებელია ალიო მაშაშვილისათვის, ესაა კონკრეტობა და მასალის გასაგებად გამოცემა, საბავშვო მწერლობაში რევოლუციური რომანტიზმის ხაზით შექმნა ალიო მაშაშვილმა თავისებური სკოლა, რომელსაც ვერ ასცდება ვერცერთი ახალგაზრდა დამწყები მწერალი.

რევოლუციურ რომანტიზმს მძლავრად იყენებს თავის შემოქმედებაში პოეტი გ. კაჭახიძე. მისი ლექსები ბრძოლისა და მოწოდების ლექსებია. ასეთივე ხაზებით ვითარდება გ. ქუჩიშვილის, ირ. აბაშიძის და სხვების ლექსები. საბავშვო ლირიკა ჩვენში საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ძალზე სუსტია საბავშვო მხატვრული პროზა, ამ დარგში მუშაობენ ისეთი მნიშვნელოვანი მწერლები, როგორიც არიან ამხ. ამხ. კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე ბ. ჩხეიძე და სხვა. კ. ლორთქიფანიძე და ჩხიკვაძე ამ ბოლო ხანებში განზე გაუდგენ საბავშვო მწერლობას. ამხ. ჩხეიძე კი აქტიურად მუშაობს, მან გამოაქვეყნა საბავშვო მოთხრობების კრებული „ტემპები“, „ღუტუნა“ და სტეფანე“ და სხვა. ამხ. ბ. ჩხეიძეს ახასიათებს თემის მიგნება და მასალის ცოდნა. ჩხეიძეს თემატიკური მასალა ძალზე მდიდარია, მ[illegible] რამ აკლია ზოგჯერ [illegible] მხატვრულობა. ამხ. ბ. ჩხეიძემ [illegible] მდგომარეობას სერიოზული ყურა[illegible] ღება უნდა მიაქციოს და იბრძოლ[illegible] მაღალხარისხოვანი მხატვრული ნაწა[illegible] მოებისათვის. საერთოდ დღეს, [illegible] ბავშვო ლიტერატურაში, ძალზე სუ[illegible] ტია საბჭოთა მწერლების მონაწილ[illegible] რობა. ისინი სრულიად უპასუხისმგე[illegible] ლოდ ექცევიან საბავშვო მწერლობა[illegible] არ კმარა თითო-ოროლა საბჭოთ[illegible] მწერლის მონაწილეობა, საჭიროა საბ[illegible] ჭოთა მწერლების აქტიური კადრე[illegible] ბის შემოკრება, საბჭოთა მწერლები[illegible] კავშირმა ამ მიმართულებით სერიო[illegible] ზული ნაბიჯი უნდა გადადგას. მა[illegible] უნდა გაანალდონ საქ. კ. პ. ცეკა[illegible] სამდივნოს დადგენილება მათი მონაწილეობის შესახებ კომუნისტური საბავშვო წიგნის შექმნის საქმეში. ბოლო უნდა მოეღოს მწერლების მიერ ინდიფერენტულ დამოკიდებულებას საბავშვო მწერლობისადმი.

ამხ. მწერლებო! გვიჩვენეთ ბავშვები სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. აწარმოეთ ბრძოლა მაღალხარისხოვანი საბავშვო მხატვრული მოთხრობების შექმნისათვის! **მიბაძეთ რუსეთის ცნობილ მწერლების მაგალითს!**

## ავამაღლოთ კრიტიკის თვისებების დონე

რუსული „სალიტერატურო გაზეთის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა ამხ. კრუპსკაიას წერილი საბავშვო წიგნის შესახებ. ამხ. კრუპსკაია თავის წერილში ხაზს უსვამს და აღნიშნავს საბავშვო კრიტიკის ძალზე სისუსტეს.

საკ. კ. პ. ცეკას მე-6 პლენუმზე ამხ. ტროიცკიც აღნიშნავდა კრიტიკის სისუსტეს და ამბობდა: „ჩვენმა კრიტიკამ კიდევ ვერ ჰპოვა თავისი თავი ახალ პირობებში და ვერ შეძლო ამაღლებულიყო სათანადო დონემდე ახალ შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრაში“. თუ ამას ამბობენ რუსული კრიტიკის შესახებ, ეს მით უფრო შეიძლება ითქვას ქართულ სინამდვი-

ულზე, სადაც ნამდვილი და თანმიმ- რად საბავშვო წიგნების მიმოხილვა. ხომ ბოლშევიკური კ...

დევრობითი კრიტიკა საბავშვო მწერლობაში არა გვაქვს. სრულიად დაუშვებელია საბავშვო ლიტერატურის განვლილი გზები და ცალკეულ მწერლობის ნაწარმოებთა გარჩევა. თუ არის ჩვენში კრიტიკა, ყოვლად სუსტი და უსუსური. ჩვენში ჩამოყალიბდა ისეთ კრიტიკოსების ტიპი, რომლებსაც მოვალეობად აქვს გახდილი რომელიმე მწერლის ლანძღვაგინება. ნაცვლად იმისა, რომ მწერალს მიუთითონ შეცთომებისა და ნაკლის შესახებ და უჩვენონ გზები მის გამოსასწორებლად, პირიქით ხდება. მაგრამ ზოგჯერ არც ესა გვაქვს. ჩვენმა კრიტიკამ უნდა აღზარდოს მწერალთა ახალი კადრები, უნდა ასწავლოს მათ, უნდა შეიქნას ნამდვილი, ჯანსაღი ბოლშევიკური კრიტიკა! გასტროლიერების „კრიტიკულ“ ვარჯიშს საბავშვო მწერლობაში ბოლო უნდა მოეღოს. საბავშვო სექტორმა ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას. სექტორის პირდაპირ მოვალეობას ...ა შეადგენდეს კრიტიკული წერილების გამოცემა ცალკეულ საბავშვო მწერლებზე. საბავშვო ჟურნალებშიაც უნდა იბეჭდებოდეს სისტემატურად საბავშვო წიგნების მიმოხილვა. ამ მიმართულებით დღემდე არაფერი არ გაკეთებულა. ცუდათაა ბიბლიოგრაფიის საკითხიც. ამ მდგომარეობას ჩვენი პრესა არ აქცევს ყურადღებას. საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნო 8 იანვრის დადგენილებაში საბავშვო ჟურნალების შესახებ ხაზგასმით იყო მითითებული პრესისადმი, რომ მას სისტემატურად გაეშუქებია თავის ფურცელზე საბავშვო მწერლობის საკითხები, დადგენილების ამ მუხლის რეალიზაციისათვის არცერთ გაზეთს პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს. დრო არის ჩვენი პრესა უფრო მეტი სერიოზულობით მოეპყრას საბავშვო ლიტერატურის საკითხებს, მით უფრო მაშინ, როდესაც ხელთა გვაქვს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სამდივნოს სპეციალური დადგენილება ამ საკითხზე. კიდევ ვიმეორებ. თავხედურ და რევანშის დამოკიდებულებას საბავშვო მწერლობისადმი ბოლო უნდა მოეღოს. ბოლო უნდა მოეღოს იმ ამბებსაც, როდესაც ამხანაგები ახალ კადრების შესახებ წერენ; „ვინმე, ხალტურაა, რეაქციურია“ და სხვა. ცხადია, თუ რეაქციურია და ხალტურა, მას უნდა შევებრძოლოთ, მაგრამ თუ არ არის, მაშ-ნ რაღა საჭიროა ასეთები? ეს ხომ ბოლშევიკური კ... ამას ადასტურებს ჟურნალ ...ტური აღზრდისათვის ... №1-ში დაბეჭდილი ამხ. ვ. ასათიანის წერილი საბავშვო ჟურნალების შესახებ. მასში არის სწორი კრიტიკა ზოგიერთ ნაწარმოებებზე, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ტენდენციურობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ახალი კადრები ჯანსაღმა კრიტიკამ უნდა აღზარდოს. ეს კრიტიკა დღეს ჩვენში სუსტია. უნდა დავრაზმოთ მასების მთელი ყურადღება ბოლშევიკური საბავშვო მწერლობის შესაქმნელად. საბჭოთა მწერლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დიად და მეტად საპასუხისმგებლო საქმეში. პარტიისა და კ. პ. დადგენილებები საბავშვო მწერლობის შესახებ უნდა განაღდეს პრაქტიკაში. საჭიროა მთელი ძალების კონსოლიდაცია. მივსცეთ ბავშვებს კომუნისტური წიგნი! ამხ. მწერლებო, მივბაძოთ რუს მწერალ ამხანაგებს, რომლებმაც გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნეს მომართვა მაღალხარისხოვანი საბავშვო წიგნების შექმნისათვის. ვფიქრობთ, ამ მიმართვას ჩვენი მწერლებიც გამოეხმაურებიან.

ქ. მელაძე.

# ლიდია გინსბურგ „პინკერტონის აგენტურა“

პინკერტონის ავანტურისტული თავგადასავალი, როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთშიაც მთელი ათეული წლების განმავლობაში იტაცებდა მკითხველებს. 1907 წელს, რეაქციისა და მუშათა მოძრაობის ჩაქრობის ეპოქაში, ობივატელთა სოციალური დაკვეთით, რუსეთში დაიწყო „პინკერტონის“ გამოშვება. კერძო საკუთრების წმინდა უფლება და ხელშეუხლებლობა — აი რა არის ბურჟუაზიის იდეოლოგიის ქვაკუთხედი, რომელსაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეხარს უჭერს კანონი და მორალი, სკოლა, ოჯახი და ეკლესია, მას იცავს სასამართლო-პოლიციის აპარატები, მაგრამ ბურჟუაზია ამით არ კმაყოფილდება და იყენებს კერძო ძებნას, რომელიც აძლევს მეტ გარანტიას მუშათა მოძრაობის გასანადგურებლად. მუშათა შპიონაჟი, — აი მათი ერთ-ერთი ძლიერი ხერხი.

ლიტერატურაში „პინკერტოვშჩინა“ დღემდე, ბურჟუაზიულ მწერლობის მიერ, იაფფასიანი რომანტიკით იყო შეფერადებული და მისი შინაარსი განზრახ იყო მიჩქმალული. ასეთი ლიტერატურა მეფის „ოხრანკისაგან“ სუფსიდიასაც კი ღებულობდა, რადგან ის „აგიტაციურ“ ხასიათს ატარებდა: ის ზრდიდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიით გამსჭვალულ ახალგაზრდობას.

ლ. გინზბურგი ამ წიგნში, რომელიც აგებულია ფაქტიურ მასალებზე, საბჭოთა მკითხველის წინაშე ამჟღავნებს ,,პინკერტოვშჩინის‘‘ სოციალურ შინაარს, ფარდას ჰხდის პინკერტონის მოღვაწეობას, რომელიც მუშათა შპიონაჟის დამაარსებელი იყო ამერიკაში, და მის აგენტურას, რომელიც პინკერტონის შემდეგაც განაგრძობს ამ გზით სიარულს. მათმა მოქმედებამ ისეთ ფორმამდეც კი მიაღწია, რომ 1914 წელს პინკერტონის აგენტურის აგენტები, ჯავშნოსან ავტომობილში ჩამსხდარნი, ტყვიამფრქვევებით უმასპინძლდებოდნენ გაფიცულ სამთამადნო მუშებს.

საფინანსო და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ გააპროლეტარა და მუშათა რიგებში გა...

...ლა ქალაქის და სოფლის წვრილი ბურჟუაზია, რასაც მოჰყვა ინდივიდუალიზმი —,,ფეხის მწმენდავის'' სენატორად და მილიარდერათ გახდომის მისწრაფება და ოცნება.

,,პინკერტონის აგენტურა''-ში სწორედ ასეთი სოციალური ტიპია გამოყვანილი **კრეინის** სახით, რომელსაც პინკერტონის აგენტურა იყენებს მუშათა შპიონაჟისათვის, იმ მოსაზრებით, რომ ,,მას საკმაო განათლება აქვს მიღებული. მუშაობდა ფაბრიკაში, მუშაობდა, მაგრამ ამავე დროს არ არის მუშა, ფერმერის შვილია, სავაჭრო დარგის მოსამსახურეა''. (გვ. 8).

ჩვენ არასოდეს არ გვძინავს''—აი პინკერტონის აგენტურის ლოზუნგი, სადაც კრეინი მატერიალურად მძიმე მდგომარეობამ და გამდიდრების სურვილმა მიიყვანა. კრეინი შესაფერისად ასრულებს თავის როლს და იცავს რელიგიას, ბურჟუაზიულ ოჯახს, მორალს და საკუთრებას.

ეს ის დროა, როდესაც მუშათა მოძრაობამ ამერიკაში თავისი ძველი ტრედუნიონისტული ტრადიციებით იფანტება და კლასობრივი ბრძოლა თავისი პოლიტიკური და ორგანიზირებული სახით გვევლინება.

კრეინი აგენტურის ჯაშუშია მუშათა მასებში, მისი სახელწოდება აგენტურისათვის არის № 43.

ასეთი ნომრები მრავლადაა გაფანტული მუშებში. ისინი ჯაშუშები არიან, რომლებიც ძვრებიან მუშათა ადგილობრივი კავშირების მდივნებად, საგაფიცვო კომიტეტების წევრებად, ეწევიან შპიონაჟს და ხრწნიან მუშათა რიგებს, კრეინიც ასევე მოქმედებს, მაგრამ მუშებთან დაახლოვების დროს მასში ხდება გარდატეხა, იღვიძებს მიყუჩებული სინიდისის გრძნობა და ხეივუდის გასამართლების დროს, რომელსაც, როგორც მუშათა კლასის ბელადს, აფეთქების მოწყობას აბრალებდენ, აღიარებს ყოველივეს, ამხელს პინკერტონის ორგანიზაციას, რომელშიაც მუშაობს ის, რითაც ათავისუფლებს ხეივუდს კრეინს, ყოველივე ამის გამო, მაკ პარლანდი (მაკ პარლანდი აგენტურის ერთ-ერთი ხელმძღვანელია) ტყვიით განგმირავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,მე მახარებს ჩემი ბოლო, მაკ პარლანდ, და ის, რომ ისინი (ნაგულისხმევია მუშათა კლასი) თქვენ დაგამარცხებენ''— აი სიტყვები, რომელიც წარმოთქმულია კრეინის მიერ.

მოთხრობაში მოყვანილია ისტორიული პირი, მუშათა კლასის ბელადი ამერიკელი ხეივუდი, რომელიც კომპარტიის რიგებში იდგა და გარდაიცვალა 1928 წელს კრემლის საავადმყოფოში.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. ისტორიული ფაქტები და გმირები ისე არის დალაგებული და გამოყენებული, რომ მოთხრობის მხატვრული სუჟეტური განვითრება არ ირღვევა.

,,პინკერტონის აგენტურა''-ს შეუძლია დიდი პოლიტაღმზრდელობითი როლი ითამაშოს ახაგაზრდობისათვის.

ხ. ყ.

# საორიენტირო პრაქტიკა

უცნობი ადგილმდებარეობის გამოსაცნობად სხვადასხვა საორიენტაციო წესი არსებობს: შეიძლება გამოცნობა კომპასით, რუკით, მზით, მთვარით, თანავარსკვლავედით და სხვა ადგილობრივი ხასიათის ნიშნებით. ჩვენ აქ უმთავრესი საორიენტირო საშუალებების შესახებ გვექნება საუბარი.

### ორიენტირება კომპასის საშუალებით

მდებარეობის ზუსტად გამოსაცნობათ კომპასი ჰორიზონტალურად უნდა დავდვათ უძრავ ადგილას (ქვაზე, ძუნძზე ან პირდაპირ მიწაზე). კომპასს თუ არიეტირი[1]) აქვს, გადსწიეთ, ააღეთ და გაათავისუფლეთ მაგნეტის ისარი. უნდა იცოდეთ, რომ ისრის მუქი სევადიანი წვერი ჩრდილოეთს უჩვენებს, ღია ფერის წვერი კი—სამხრეთს. როდესაც ეს გარემოება იცით, ადგილმდებარეობის გამოცნობა ადვილია. კომპასის კოლოფი ისე უნდა მოაბრუნოთ და დადვათ, რომ ძირზე აღნიშნული ჩ-ს ხაზი ეთანხმებოდეს მაგნეტის ისრის მიმართულებას, ე. ი. ისრის მუქი წვერი უნდა იდგეს ჩრთილოეთის მხარეს—ჩ-ს და ღია ფერის ს-ზე, შემდეგ კი სხვა მიმართულებები, ანუ, როგორც ეძახიან, კომპასზე აღნიშნული „რუმბები“ დაგანახვებთ ადგილმდებარეობის ნამდვილ მიმართულებებს (ნახ. 1).



ნახ. 1.

გარდა ოთხი მთავარი მიმართულებისა (ჩრთილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი), არის კიდევ შუალედი: მიმართულებანი ჩ. ა., ჩ. დ., ს. ა., ს. დ. (ჩრდილო-აღმოსავლეთი, ჩრდილო-დასავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი). ამნაირად მიღებულ რვა წერტილს შუა შუალედებიც იყოფა შუაზე და იძლევა ახალ მიმართულებებს. ჩჩა (ჩრდილო — ჩრდილო — აღმოსავლეთი), აჩა (აღმოსავლეთ— ჩრდილო —აღმოსავლეთი), ასა, სსა, სსდ, დსდ, დჩდ, ჩჩდ. აქ ჩამოთვლილი თექვსმეტი მიმართულება სრულიად საკმაოა ჩვეულებრივი ტურისტის საორიენტირო პრაქტიკისათვის

[1]) ორიეტირი, მაკეტი, კეიტის ენა.

...ილვათ ტურიზმისთვის კი საჭიროა ჰორიზონტის 32 რუმბად დაყოფა. აქ დართულ ნახატზე (ნახ. 2)



ნახ. 2.

ნაჩვენებია მთავარი რუმბები. მარჯვენა ნახატზე არის ნაჩვენები ქართული და მარცხენაზე ლათინური ანბანით (№ Nord - ჩრდილოეთი; S—Sud — სამხრეთი; O - Ost - აღმოსავლეთი, W-West — დასავლეთი).




Рис. 2

კომპასის ხმარების დროს საორიენტიროთ, უნდა გახსოვდეთ, რომ მაგნეტის ისრის მიმართულება ოდნავ გადახრილი იქნება ჩრდილო-სამხრეთის გეოგრაფიულ მერედიანის ნამდვილი მიმართულებისაგან, რადგანაც მაგნეტის პოლუსი და დედამიწის ბურთის გეოგრაფიული პოლუსები სხვადასხვაა. ამას გარდა ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, რომ კომპასის სიახლოვეს არ იყოს რკინის ან ფოლადის რაიმე ნივთი, რომ არ მიიზიდოს მაგნეტის ისარი.

### ორიენტირება რუკის საშუალებით

ეს საშუალებაც, როგორც პირველი, ძალიან გავრცელებულია ტურიზმისა და საექსკურსიო პრაქტიკაში. თუ ტურისტს აქვს ადგილ-მდებარეობის რუკა და შეუძლია აღნიშნოს ზედ ადგილი, სადაც იმყოფება, ადვილად იპოვის ქვეყნის ყოველი მხარის მიმართულებას. ამისათვის საჭიროა შეათანხმო რუკა: უნდა აირჩიოთ ახლო-მახლო ადგილებში ორი ან რამდენიმე თვალსაჩინო საორიენტირო პუნქტი (სოფელი, გზა, ხიდი, წისქვილი და სხვა). მერე უნდა მონახოთ ეს ადგილები რუკაზე და მოატრიალოთ, ისე რომ აღნიშნული საორიენტირო ადგილები სწორედ ამორჩეული პუნქტებისაკენ იყურებოდეს.

### ორიენტირება მზისა და საათის საშუალებით

მზის საშუალებით ორიენტირება იმ გარემოებაზეა დამყარებული, რომ როდესაც მზე ადის ცის კამარაზე და შუადღისას უმწვერვალეს წერტილს აღწევს, სწორედ ამ წუთში გადის მერიდიანს. ამ დროს მზე სამხრეთით იმყოფება, მაშასადამე, სხვადასხვა საგნების ჩრდილი ჩრდილოეთისაკენ იქნება მიქცეული, რადგანაც მზე შუადღისას ჰორიზონტის უმაღლეს წერტილზე იმყოფება, ჩრდილიც ამ დროს ყველა სხვა დროს გაშლილ ჩრდილზე უფრო მოკლე იქნება. თუ ეს გარემოება იცით, შეიძლება ჩრდილი გაზომოთ და გამოიანგარიშოთ შუადღის დრო, აღნიშნოთ მიმართულება, გამოარკვიოთ ჯერ ს-ჩ ხაზი და შემდეგ კი სხვა დანარჩენი მხარეები (იხ. ნახ. 3).




ნახ. 3.

მზის მოძრაობა ჰორიზონტზე თანაბრად ხდება. შეიძლება გამოიანგა-




ნახ. 4.

რიშოთ, რომ დ...
იმყოფება აღ. 9 საათზე — სა. შუა
ღისას-ს, ნაშუადღევს ...
და საღამოს 6 საათზე — დ. ...
სოვრება ადვილია, თუ ისარგებლე
იმ სქემით, რომელიც აქ არის (ნახ. 4

თუ სწორად მოსიარულე ჯიბ
საათი გაქვთ, ადვილად შეიძლებ
რა დროსაც გინდათ, გამოარკვიო
ადგილი მზის მიხედვით. ამისათვ
საათი უნდა დადვათ ჰორიზონტ
ლურად და მოაბრუნოთ ისე, რო
საათის ისარი მზისაკენ იყოს მიშ
რილი და შემდეგ საათის ისარს შ
და ციფრი „12" შუა მდებარე კუ
ხე გაჰყოთ შუაზე (ნახ. 5) და გ



ნახ. 5.

ატაროთ ხაზი. ეს იქნება ჩს-ის ს
მაოდ სწორი მაჩვენებელი.

### ორიენტირება პოლარულ ვარსკ ლავის მიხედვით

პოლარული ვარსკვლავის საშ
ლებით ორიენტირება ერთ-ერთ უ
რო სწორ საშუალებას წარმოადგე
პოლარული ვარსკვლავისაკენ აღ
ბული მიმართულება და მერიდიან
მიმართულება ერთნაირია, ე. ი. ზუ
ტად უჩვენებს ჩ-ს. პოლარულ
ვარსკვლავი პატარა დათვ
თანავარსკვლავედის შვიდ ვარ-
კვლავში ყველაზე უფრო კაშ-
კაშაა. პატარა დათვის თანავარ-
სკვლავედი გრძელტარიან ქვაბს
მოგვაგონებს.

ტურისტს, რომელიც კარ
გად ვერ იცნობს ვარსკვლავე
ბიან ცას, შეიძლება ვურჩიო
იპოვოს პოლარული ვარსკ
ლავი უფრო კაშკაშა თანავარ

კვლავედის დიდი დათვის საშვალე-ბით. აქ მოყვანილ ნახატზე (ნახ. 6)




ნახ. 6.

ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა იპო-ვოს.

### ორიენტირება ორიონის თანავარს-კვლავედის საშუალებით

ნახატზე № 7 ნახავთ, როგორ უნ-და იხელმძღვანელოთ: უნდა იპოვოთ ცაზე ორიონის თანავარსკვლავედი, რომელიც ფოცხს მოგვაგონებთ. ფიქ-რით უნდა გაატაროთ პირდაპირი ხაზი ჰორიზონტისაკენ, და ის გაჩვე-ნებთ სამხრეთს. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ეს არ არის ზუსტი მაჩვენებელი და ხშირად არც კი ჩანს ჩვენ ცა-ზე ორიონი.

### ორიენტირება მთვარის საშუალებით

თუ უფრო ზუსტი ნიშნები არ მოგეპოებათ, შეიძლება ისარგებლოთ აქ მოყვანილი ცხრილით. ცხრილი-დან ჩანს, რა დროს და ჰორიზონ-ტის რომელ ნაწილში იმყოფება მთვა-რე სხვადასხვა ფაზის დროს.

| ქვეყნის მხა-რეები | მთვარის ფაზის პირველი მე-ოთხედი | სავ. მთვა-რე | ფაზის უკანასკ-ნელი მე-ოთხედი |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი | — | 18 ს. | 24 ს. |
| სამხრეთი | 18 ს. | 24 ს. | 6 ს. |
| დასავლეთი | 24 ს. | 6 ს. | |

### ორიენტირება ადგილობრივი საგნების მიხედვით

ცალკე მდგომი ხეები შეიძლება გამოვიყენოთ ხანდახან ქვეყნის მხა-რეების გამოსაცნობად. ამნაირ ხეებს თბილ, სამხრეთის მხარეს უფრო სქე-ლი და მძლავრი ტოტები ეზრდება· ჩრდილოეთიდან კი, საიდანაც ცივი ქარი უქრის, უფრო იჩაგრება, მლიე-რიც მეტი აქვს. მლიერი კლდეებსა და ქვებზეც ჩრდილოეთის მაჩვენე-ბელია.

შეიძლება გადახერხილი კუნძის საშუალებითაც გაარჩიოთ: თუ და-კვირვებით დაათვალიერებთ, ადვი-




ნახ. 7.

ლად დაინახავთ წრეებზე, რომ ერთ მხარეს წრეები უფრო მიტკეპნილია ერთმანეთზე, საზოგადოდ ეს ნაწილი




ნახ. 8.

მიქცეულია უფრო ცივი მხარისაკენ, საიდანაც ქარი ქრის. ზამთრობით შეიძლება დაახლოვებით გაიგოთ თოვ-ლის ზედაპირის საშუალებით, უფრო გორაკებიან ადგილებში. ცნობილია, რომ სამხრეთისაკენ თოვლი უფრო მაგარია, ვიდრე ჩრთილოეთით (ნახ 8).

### რჩევა ორიენტირების შესახებ

როდესაც მიმართულებას აირჩევთ, კომპასით გაიგეთ, რა მხარეა. თუ კომპასი არ გაქვთ, მაშინ დანიშნეთ თქვენი გზის მიმართულება მზის ან პოლარული ვარსკვლავის საშუალე-ბით. თუ ესეც არ შეიძლება, მაგა-ლითად, ღრუბლიან დღეში,—შენიშ-ნეთ თქვენი მოძრაობის მიმართულე-ბით საიდან ქრის ქარი, დაუკვირდით და დაიხსომეთ ყველა საორიენტირო საგანი, რაც შეგვხვდეთ გზაში.

თუ მაინც დაგეკარგათ გზა, უმ-თავრესად უნდა გახსოვდეთ, რომ დამშვიდებით უნდა მოიფიქროთ, თუ საით უნდა წახვიდეთ. თუ რუკა გაქვთ, არ დაგავიწყდეთ შიგ ადგილების და ნიშნების მონახვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1 მ. 50 კ.